ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 6 მარტი, 2013 | №54 (6055) | ფასი: 30 თეთრი

6 მარტიდან!
„ახალი თაობა“ +
საოჯახო ტომი 2
სამზარეულო
2 ლარი და 30 თეთრი




# გედევან ფოფხაძე: „სააკაშვილს ნაციონალების ბიზნესის გადარჩენა უნდა“

„ქართული ოცნება“ პრეზიდენტის ინიციატივას მხარს არ დაუჭერს

გვ. 3



## რუსეთი გივი თარგამაძის გადაცემას მოითხოვს

გვ.3

„როგორც კი ინტერპოლი ქართველი პოლიტიკოსის ადგილსამყოფელს ოფიციალურად დაადგენს, რუსეთის გენერალური პროკურატურას საქმის კურსში ჩააყენებს, რის შემდეგაც მისი დაკავების შესახებ თბილისში ოფიციალური მოთხოვნა გაიგზავნება. საერთაშორისო სამართლის თანახმად, საქართველოს მთავრობა ვალდებული იქნება, დააკავოს საერთაშორისო ძებნაში მყოფი პირი."





## სააკაშვილი ივანიშვილს ერთობლივი განცხადების გაკეთებას სთხოვს

გვ.4

## ბიძინა ივანიშვილი: „საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის ჩვენ მივიღებთ აბსოლუტურ უმრავლესობას“



საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის ჩვენ მივიღებთ აბსოლუტურ უმრავლესობას, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. პრემიერი აცხადებს, რომ ამ ცვლილებებს მხარს არა მხოლოდ 100, არამედ 130 და 140 დეპუტატიც დაუჭერს.

გარდა ამისა, ბიძინა ივანიშვილი ინტერვიუში პრეზიდენტის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რუსეთთან ურთიერთობასა და სხვა თემებზე საუბრობს.

ათბ-ნიუსი

## ჩიორა თაქთაქიშვილი: „მეოცნებეები შოკისმომგვრელი კანონის განხილვას აპირებენ“

გვ. 3



## მანანა ნაჭყებია: „საგარეო კურსის უცვლელობაზე კონსტიტუციაში ჩანაწერი აუცილებლად უნდა გაკეთდეს“

გვ.5



1 მარტიდან!
„ახალი თაობა“ +
საქართველოს
სამოციქულო 8
ეკლესიის ლარი
ისტორია ტომი 3




2 სოფიო ხორგუანი: „დამნაშავეებს თუ არ დავსჯით, ქვეყანა წინ ვერ წავა“

8 მთავარმა ბიბლიოთეკამ თანამშრომლები დაასაჩუქრა

2 სოსო ცისკარიშვილი: „პარლამენტი აქტიურ მოქმედებაზე უნდა გადავიდეს“

8 პროფკავშირები საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა პროტესტს მხარს უჭერს

# სოფიო ხორგუანი: „დამნაშავეებს თუ არ დავსჯით, ქვეყანა წინ ვერ წავა“

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ საინფორმაციო პორტალ „პლანეტა. გე“-ს ხელმძღვანელ სოფიო ხორგუანთან

***— მიხეილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის მორიგი შეხვედრა უკვე შედგა. ასეთი შეხვედრებისგან ჩვეულებრივ რას ელოდება ხოლმე საზოგადოება?***

— საზოგადოებას სჭირდება სამართლიანობა, კეთილდღეობა, უსაფრთხოება, სტაბილური განვითარება. ეს განაცხადი გაკეთდა 1 ოქტომბერს. სააკაშვილის ყველა ბოლოდროინდელი განცხადება მიმართული არ არის იქითკენ, რომ ქვეყანაში სტაბილური განვითარება იყოს. ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, აცხადებს, რომ რუდუნებით აშენებდა სახელმწიფოს და ამისთვის ყველაფერს აკეთებდა, ეს მისი პროპაგანდის ნაწილია, რათა თავი გადაირჩინოს და გაემიჯნოს ყოველივე იმას, რისი შემოქმედი თავადვე იყო, ისე უნდა წარმოგვიდგინოს, რომ დღეს თუ ცუდი მდგომარეობაა ქვეყანაში, თურმე ეს მისი პასუხისმგებლობის საქმე არ არის. ის ქმნის მუდმივი დაძაბულობის ფონს, რომ ამ წნეხის პირობებში ადამიანმა ვერ დაგეგმოს ხვალინდელი დღე, სტრესის ქვეშ ადამიანი მოტივირებული არ არის და რეალურად ვერაფერს აკეთებს. მოვისმინეთ მისგან, რომ თურმე ბაჩო ახალაია ვანო მერაბიშვილის კადრი იყო, თუმცა გვახსოვს, რომ ახალაია მისი ინიციატივით დაინიშნა მაღალ პოსტზე, ადეიშვილი რომ საშინელებებს აკეთებდა, ეს მისთვის ცნობილი არ იყო, ის ყოველთვის უპასუხისმგებლო იყო, არ გამოირჩეოდა პასუხისმგებლობით, არც ამჟამად ველოდები მისგან პასუხისმგებლობას. რახან შევთანხმდით იმაზე, რომ სააკაშვილი მაინც რჩება პრეზიდენტის რანგში, რაღაცა ტიპის მოლაპარაკებები მასთან მაინც იმართება. ხელისუფლება იმაზე უნდა ყოფილიყო შეთანხმებული, რომ მას ვადა გაუვიდა და აღარ უნდა დარჩენილიყო პრეზიდენტის რანგში, მაგრამ ასეთი მოცემულობაა, რომ დაძაბულობამ არ მოიმატოს. რასაც სააკაშვილი აკეთებს, ეს არის მავნებლობა, მისი განცხადებები ეთნიკურ უმცირესობებთან, ბანკებთან დაკავშირებით, რუსეთის ბაზარზე ჩვენი პროდუქციის გასატანად რუსი ექსპერტების ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ეს ყოველივე მიმართულია იმისკენ, რომ დაძაბულობა გაიზარდოს ქვეყანაში და განვითარების ტემპი შენელდეს. ქვეყანა ნამდვილად მიდის წინ. ერთ დღეში და ერთ თვეში შესამჩნევი ეს არ არის, მაგრამ რეალურად წინსვლა მიდის, ადამიანის უფლებები არ ირღვევა, არავის აწამებენ, გაუგებარ ტენდერებში გაურკვეველი პიროვნებები არ იგებენ, კერძო საკუთრებას არ გართმევენ, ეს წინგადადგმული ნაბიჯია, გაზის ტარიფი რომ ხუთი თეთრით შემცირდა, ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია, სოფლის მეურნეობაში ვაუჩერებს არიგებენ, ასევე ჯანდაცვის სისტემაში რომ საყოველთაო დაზღვევის სისტემა შემოვიდა, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, პედაგოგს ორმოცდაათი ლარით გაეზარდა ხელფასი, მაგრამ ამის მიუხედავად, მოქალაქეს აქვს მეტი მოთხოვნილება, რომ ჰქონდეს მეტი კომუნიკაცია ხელისუფლებასთან. ევროპულ ქვეყანაში შეიძლება ასეთი მოთხოვნილება არ იყოს, მაგრამ საქართველომ გადაიტანა სტიქიური უბედურება ამ ცხრა წელიწადში, მოქალაქეს არა აქვს ნდობა ისეთი მნიშვნელოვანი სისტემის მიმართ, როგორიც სასამართლოა, ახალგაზრდობას არა აქვს კარგი განათლების მიღების პერსპექტივა, სოფელში ახალგაზრდები აღარ რჩებიან, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა



გვაქვს, ეკონომიკა სტაგნაციაშია, გვაქვს მილიარდობით საგარეო ვალი, გართულებული ურთიერთობა ჩვენს დიდ მეზობელთან. მოსახლეობის დიდი ნაწილი გასულია საზღვარგარეთ და დაკარგული გვყავს ეს ხალხი. შიში, რომელიც ამ წლების მანძილზე იყო, არსად წასულა, ისევ არის, ინიციატივის გამოჩენა, განსხვავებული აზრი, თავისუფალი აზრის დევნა გამჯდარია საზოგადოებაში. ამიტომ დიდი მოლოდინი გვაქვს ამ ხელისუფლების მიმართ. მოქალაქეს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ პროცესების თანამონაწილეა. არ მქონდა იმის დიდი მოლოდინი, რომ სააკაშვილის და ივანიშვილის შეხვედრა რაიმე შედეგით დასრულდებოდა. საკონსტიტუციო ცვლილებები ქვეყანაში უნდა განხორციელდეს, ხალხის ნებაა, რაც უნდა განაცხადოს სააკაშვილმა, ეს საკონსტიტუციო ცვლილებები მაინც განხორციელდება.

***— საკონსტიტუციო ცვლილებების სანაცვლოდ სააკაშვილმა მოითხოვა მისი თანაგუნდელებისთვის ფინანსური და სამართლებრივი ამნისტია. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება ამას დათანხმდება?***

— ასეთ დათმობაზე ხელისუფლება არ წავა, პასუხისმგებლობას ვერავინ გაექცევა, ვინც ადამიანის უფლებები დაარღვია წლების განმავლობაში, ვინც დევნიდა განსხვავებულ აზრს, ვინც ართმევდა ადამიანებს კერძო საკუთრებას, მათ ეს არ უნდა შერჩეთ. ეს არის საზოგადოების მოთხოვნა. ქვეყანა წინ ვერ წავა, თუ დაუსჯელობის სინდრომი ისევ დარჩება. მაშინ ახალი ხელისუფლებაც ჩათვლის, რომ რაც სურს, იმას გააკეთებს და დაუსჯელი დარჩება. ადეიშვილი ჩამოვა და იტყვის, რომ სახელმწიფო მოღვაწეა და პოლიტიკურ პროცესებში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს, ასევე კოტე კუბლაშვილს ექნება იმის პრეტენზია, რომ სამართლებრივი რეფორმების ავტორი იქნება. შევარდნაძის დროს გავიგეთ პრესის თავისუფლების გემო, სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, რომ დაუსჯელობის სინდრომი დასრულდეს. ეს არ უნდა იყოს პოლიტიკური გარიგების თემა. პოლიტიკური დიალოგის თემა შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებები, სახელმწიფოს მოწყობის თემა, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, სასამართლოს რეფორმა, საარჩევნო კოდექსი და სხვა.

***— ლოგიკურია საზოგადოების მოთხოვნა, რომ კოჰაბიტაცია დამნაშავე რეჟიმთან შეუძლებელია.***

— უნდა გავმიჯნოთ, რაზე შეიძლება დიალოგი და რაზე არა, რაზეც უკვე მოგახსენეთ, იმ თემებზე შეიძლება საუბარი, თანაც ოპოზიციის იმ ნაწილთან, რომელსაც სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია. სააკაშვილის მძევლად ყოფნა, დამერწმუნეთ, არც ერთ ადამიანს არ უნდა, არადა სააკაშვილი ისეთ ამნისტიას ითხოვს თავისი თანაგუნდელებისთვის და ისე საუბრობს შანტაჟის ენით, რომ ასეთი განცდა ადამიანებს გააჩნიათ; თუმცა მე მიმაჩნია, რომ სააკაშვილს არა აქვს იმის რესურსი, რომ მთელი სახელმწიფო მისი მძევალი იყოს. ის არ არის დღეს იმ ვითარებაში, რომ ნაღმის აფეთქება შეძლოს. მისი წვრილმანი მავნებლობის შედეგებს ვხედავთ.

***— ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ მერაბიშვილის განცხადება, რომ ნაცმოძრაობა კიდევ რამდენიმე თვეს ვერ მოითმენს ამ ხელისუფლებას და წინასწარ დააანონსა 19 აპრილის აქცია?***

— მერაბიშვილის, სააკაშვილის განცხადებები, რომ ნაღმს ააფეთქებენ, ეს არის მხოლოდ საზოგადოების დაშინების მცდელობა, რეალურად მათ არანაირი ნაღმი ხელში არა აქვთ. რომელი ნაღმის აფეთქებაც უნდოდათ, მათ ის უკვე ააფეთქეს. მეტი რესურსი არ გააჩნიათ. ამაზე რომ პასუხი არ აგონ, ამბობენ, უარესს დაგმართებთო, შეუძლებელია ამაზე უარესი დაგვმართონ. სააკაშვილმა განაცხადა, რომ თურმე სამცხე-ჯავახეთში ეთნიკური უმცირესობები ავტონომიას ითხოვენ. იმედია ეთნიკური უმცირესობები უარყოფენ ამას. ფინანსთა მინისტრი საფრანგეთში მართავს მოლაპარაკებებს, რომ ინვესტორები შემოვიდნენ და არა ის ინვესტორები, რომლებიც საქართველოში ფულს ათეთრებდნენ, ოფშორში დაარეგისტრირებდნენ ფირმებს და კომპანიებს და ვითომ ვიღაც ინვესტორი შემოდიოდა, სინამდვილეში ეს ისევ ნაცმოძრაობასთან დაახლოებული ბიზნესმენები იყვნენ.

***— მუდმივ სტრესში ამყოფებენ საზოგადოებას, ახალი ხელისუფლების დისკრედიტაცია სურთ, რომ მერე სააკაშვილი პრემიერად მოგვევლინოს, მერაბიშვილი — პრეზიდენტად, მერაბიშვილმა ამის სურვილი უკვე გამოთქვა.***

— როცა აქტიურად იყო ხელისუფლებაში, მაშინაც გრძელვადიანი გეგმების განმახორციელებელი სააკაშვილი არ იყო. დღეს გადავრჩე, ეს იყო მისი მოქმედების სტილი. მას და მის გუნდს ახლა მხოლოდ ის სურვილი აქვთ, რომ გადარჩნენ. ცალკე თემაა, როგორ პასუხობს ამ წვრილმან მავნებლობას ხელისუფლება. სააკაშვილი რა განცხადებებს გააკეთებს, ამის მიღმა უნდა ვცხოვრობდეთ. სააკაშვილი დამთავრებულია. თუ ნაცმოძრაობა თავს დააღწევს პასუხისმგებლობას, პასუხისმგებლობა დაეკისრება ამისთვის ქართულ ოცნებას. თუ სამართლიანობის განცდა არ გაჩნდა ქვეყანაში, პასუხს საზოგადოება ქართულ ოცნებას დააკისრებს.

***— საზოგადოებას ისეთი შთაბეჭდილება აქვს, რომ კოალიცია მოიკოჭლებს პიარის საკითხში, ის აკეთებს საქმეს, თანდათან წინასაარჩევნო დაპირებებს ასრულებს, მაგრამ ეს არ მიეწოდება საზოგადოებას იმ დოზით, როგორითაც საჭიროა. ადამიანები ნაკლებად ინფორმირებული არიან იმის თაობაზე, რას აკეთებს ხელისუფლება და რა გეგმები აქვს სხვადასხვა სფეროებში. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— საზოგადოება უფრო აქტიური უნდა იყოს, ინიციატივები თამამად უნდა გაახმოვანოს, ცხრა წლის განმავლობაში შიში და ტერორი იყო, ეს არის მიზეზი დღეს საზოგადოების ერთგვარი პასიურობისა. დღევანდელი მინისტრებიც ამ საზოგადოების ნაწილი არიან. მე მაქვს პრეტენზია გარემოს დაცვის მინისტრთან. ევროპისკენ მივემართებით და ეს არ უნდა იყოს ცარიელი სიტყვები, არამედ ეს ქმედებებში უნდა ჩანდეს. მთელი ევროპა გაგიჟებულია ეკოლოგიის დაცვაზე, ჩვენს სამინისტროს აქვს დიდი რესურსი იმისათვის, რომ თამამი ინიციატივები წარმოადგინოს როგორც ევროპელი კოლეგების, ისე ქართველი სპეციალისტების წინაშე. ჩიხტიკოპისა და ულვაშებიანი პრეზერვატივების შესახებ კანონები კი არ უნდა იყოს უფრო მნიშვნელოვანი ინიციატივები, არამედ სხვა ბევრი კანონი, თუნდაც ცვლილებები ადმინისტრაციულ კოდექსში. გზავნილი უნდა მიიღოს ევროპამ ჩვენგან, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა. სააკაშვილის დროს საზოგადოებასთან ურთიერთობა მანკიერ პროპაგანდისტულ მანქანად გადაიქცა. პროპაგანდის ზიზღი გაუჩნდა საზოგადოებას, პოტიომკინის სოფლისადმი სიძულვილი ჩამოყალიბდა. საზოგადოება მოწყურებულია ხელისუფლებასთან ურთიერთობას. ეს ხელისუფლებასაც სჭირდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ გიორგი არველაძე და გიგა ბოკერია რომ ურეკავდა ტელევიზიებს და უკვეთავდა ამა თუ იმ სიუჟეტის მომზადებას. უმაღლესი კანონმდებელი არ უნდა ლაპარაკობდეს სააკაშვილზე ვადაგასულიაო, თუ ასეა, შენ უნდა მიიღო ეს გადაწყვეტილება, მე ნუ მელაპარაკები ოპოზიციური პოზიციიდან. თუ განათლებაში რაღაც ისე ვერ კეთდება, ამაზე პასუხისმგებელი მინისტრია.

***— საზოგადოებრივი მაუწყებლის თემასა და სასამართლოს სისტემაში დღეს დიდი ჩავარდნებია. რა უნდა გაკეთდეს, რომ ეს სისტემები ამოიქაჩოს?***

— ჩვენ გვჭირდება მოაზროვნე ლიდერი. მინისტრი, გუბერნატორი. ერთ რეგიონში მაჩვენოს, რომ კარგ შედეგამდე შეიძლება მივიდეთ, სხვებისთვის სამაგალითო იქნება. განათლების მინისტრი კარგი მენეჯერია, ასევე სიმპათიებით ვარ განწყობილი ფიზიკოს გია დვალის მიმართ, რომელსაც განათლების რეფორმების რევოლუციური მოდელი აქვს, მაღალი დონის პროფესიონალია, სწორად უნდა მოგვეწოდოს ეს რეფორმა. განათლების დონე ჩვენთან ძალიან დაბალია, სერიოზული პრობლემა გვაქვს. ქვეყნისთვის მთავარი გამოწვევა უნდა იყოს ის, რომ ჩვენ ვიყოთ ყველაზე განათლებული ერი. უზენაესი სასამართლო სერიოზული პრობლემაა, იუსტიციის სამინისტროში კი არ უნდა შეიქმნას, არამედ უზენაეს სასამართლოში პალატა, რომელიც გადასინჯავს ცხრა წლის მანძილზე არასწორად გამოტანილ განაჩენებს. ეს პალატა კეთილსინდისიერი მოსამართლეებით უნდა დაკომპლექტდეს და მოქალაქეებს გაუჩნდებათ სამართლიანობის განცდა. ოთხი ადენაუერი მინდა, ერთი არ მეყოფა-მეთქი ვამბობ. რომ ქვეყანა დიდი ნაბიჯებით წავიდეს წინ. ახლა პატარა ნაბიჯებით მივდივართ წინ. ამიტომ მჭირდება მეტი კომუნიკაცია ხელისუფლებასთან. გაცილებით წინ ვართ, ვიდრე ნახევარი წლის წინ ვიყავით.

# სოსო ცისკარიშვილი: „პარლამენტი აქტიურ მოქმედებაზე უნდა გადავიდეს“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილთან

***— ბატონო სოსო, როგორია თქვენი, როგორც ექსპერტის შეფასებები პრემიერისა და პრეზიდენტის შეხვედრასთან დაკავშირებით?***

— დიდი მოლოდინი ამ შეხვედრის შედეგიანობის მიმართ, ცხადია, არ ყოფილა, რადგან არანაირი წინაპირობა წარმატებისა არ არსებობდა. მხოლოდ სურვილი ბატონი სააკაშვილისა, რომ ისაუბროს პრემიერ-მინისტრთან, არ არის საკმარისი არგუმენტი რაიმე წინგადადგმული ნაბიჯისათვის, მით უმეტეს, როცა თემა, რომელსაც აჟღერებს ჩვენი ვადაგასული პრეზიდენტი, თავად ვადაგასულია. ანუ სიახლე არსენალში ჩვენს პრეზიდენტყოფილს არაფერი გააჩნია, საუბრობს დემაგოგიური თემებით, თურმე ივანიშვილმა თავი უნდა დაანებოს სასამართლოზე, მედიაზე ზეწოლასა და ხალხის აწიოკებას. ახლა სარკის წინ თავისი თავისთვის რომ ეთქვა ეს პრეზიდენტს, რასაკვირველია, ყველა დავინტერესდებოდით, ხომ არ გაიღვიძა



მასში სამართლიანობის წყურვილმა, მაგრამ, როდესაც ამას პირისპირ ეუბნება ადამიანს, რომელიც სწორედ ამ მიზეზებით დაუპირისპირდა სააკაშვილს, ცხადია სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების სურვილი, ქვეყანა დატოვონ აბსურდის თეატრში. მათი მიზანია, თეთრი შავად გაასაღონ და შავი — თეთრად ანუ გაგრძელდეს ყველაფერი ისე, როგორც მათ ეს ახალისებდათ წლების განმავლობაში. ასეთი სცენარის წინააღმდეგი გახლავთ არა რომელიმე პოლიტიკოსი ან პოლიტიკური ჯგუფი, არამედ მთლიანად საქართველოს მოსახლეობა. ამის გაცნობიერება არ სურს პრეზიდენტს, ამის გაცნობიერება აფრთხობს და არცთუ უმიზეზოდ მის თანამზრახველთა გუნდს და, შესაბამისად, სრულიად მკაფიოა ის უკომპრომისო წინააღმდეგობა ქართველი საზოგადოებისა, რომელიც წარმოჩნდა არა მხოლოდ პირველ ოქტომბერს, რაც იყო ლოგიკური შედეგი ნაციონალთა მმართველობისა, არამედ დიდი ალბათობით იქნება წარმოჩენილი იმ შემთხვევაში, თუ ნაციონალური მოძრაობის რომელიმე დაჯგუფებამ მოისურვა კვლავ ხალხის სურვილის წინააღმდეგ რაიმე ტიპის ქმედებები.

***— ჩვენ მოვისმინეთ განცხადებები სააკაშვილისგან, რომ მას არც უფიქრია, დაეთხოვა მთავრობა და პარლამენტი. რამდენად ყალბი იყო მისი განცხადებები და როგორ ფიქრობთ, გაიფართხალებს აპრილში ნაციონალური მოძრაობა?***

— როდესაც უკანასკნელ კვირაში ორი გამოსვლისას მან ხუთი-ექვსი ისეთი მამალი ტყუილი თქვა, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც მოუწიათ პოლიტიკოსებს განცხადებების გაკეთება, რასაკვირველია, ამ სიყალბის გამჟღერებელს ერთი წუთითაც არ ენდობა ქართველი ხალხი, რადგან არაერთი მისი დაპირება, არაერთი მისი არაპროგნოზირებადი ფანტაზიის ნაყოფი მოუსმენია, უნახავს, განუცდია. შესაბამისად, მოლოდინი იმისა, რომ რაიმე დამაჯერებელი იყოს მის დაპირებებში, ნურავის ექნება. სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო. სახელი რომ გატეხი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რუსეთი გივი თარგამაძის გადაცემას მოითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

გივი თარგამაძე კვლავ ყურადღების ცენტრშია. ამჯერად კბილაშვილის სმაილიკი არაფერ შუაშია. „ვასილიჩს“ რუსეთის პროკურატურის სმაილიკი დასტრიალებს ცუდად თავზე.

რუსული მედიის ცნობით, რუსეთის ხელისუფლება უახლოეს მომავალში, ქართულ მხარეს, დეპუტატ გივი თარგამაძის დაკავების მოთხოვნას გამოუგზავნის.

– როგორც კი ინტერპოლი ქართველი პოლიტიკოსის ადგილსამყოფელს



ოფიციალურად დაადგენს, რუსეთის გენერალურ პროკურატურას საქმის კურსში ჩააყენებს, რის შემდეგაც, მისი დაკავების შესახებ თბილისში ოფიციალური მოთხოვნა გაიგზავნება. საერთაშორისო სამართლის თანახმად, საქართველოს მთავრობა ვალდებული იქნება დააკავოს საერთაშორისო ძებნაში მყოფი პირი, ხოლო შემდეგ განიხილოს მისი გადაცემის საკითხი. იმ შემთხვევაში თუ საქართველოს მთავრობა დააკავებს გივი თარგამაძეს და შესაბამის უწყებას მიიღებს რუსეთის გენერალური პროკურატურა, მოსკოვი ქართველი დეპუტატის ექსტრადიციას მოითხოვს, – იუწყება რუსული სააგენტო „ინტერფაქსი“.

გივი თარგამაძე, მემარცხენე ფრონტის ლიდერ სერგეი უდალცოვთან ერთად, რუსეთში მასობრივი არეულობების ორგანიზებაშია ბრალდებული. მოსკოვის ბასმანის სასამართლომ მას პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა.

რუსეთის ფედერალურმა საგამოძიებო კომიტეტმა 14 თებერვალს განაცხადა, რომ გივი თარგამაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

– საქმე რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა, რომელიც ეხება „დანაშაულის მომზადებას“ და ასევე იმავე კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც ეხება „მასობრივი არეულობების ორგანიზებას, რასაც თან ახლავს ძალადობა“, რაც 4-დან 10 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გამოძიებამ თარგამაძეზე ძებნა გამოაცხადა, – ნათქვამი იყო განცხადებაში.

რუსეთის ფედერალურმა საგამოძიებო კომიტეტმა ჯერ კიდევ შარშან 13 დეკემბერს განაცხადა, რომ გააჩნია მტკიცებულება. რომელიც „ადასტურებს“, რომ თარგამაძე რუს ოპოზიციონერ აქტივისტებთან ერთად მოსკოვში არეულობების ორგანიზებაში მონაწილეობდა.

რუსეთის ფედერალურო საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელმა, ვლადიმერ მარკინმა განაცხადა, რომ გამომძიებლებს აქვთ „მასალები, რომლებიც ადასტურებენ, რომ გივი თარგამაძე არა მხოლოდ აფინანსებდა რუსულ ოპოზიციას“, არამედ კონკრეტული როლიც ჰქონდა 2012 წლის მაისში მოსკოვის ბალოტნაიას მოედანზე მასობრივი არეულობების ორგანიზების საქმეში. მაშინ გივი თარგამაძე პარლამენტში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს თავმჯდომარეობდა.

რუსეთს გივი თარგამაძის მოთხოვნით ჯერ არ მოუმართავს საქართველოსთვის. თუმცა რომც მოგვმართონ თარგამაძეს ვერ მიიღებენ. საქართველოს ხელისუფლებამ ნათლად განაცხადა, რომ ქართველ დეპუტატს რუსეთს არავითარ შემთხვევაში არ გადასცემენ.

# ჩიორა თაქთაქიშვილი: „მეოცნებეები შოკისმომგვრელი კანონის განხილვას აპირებენ“

შორენა მარსაგიშვილი

**ნაციონალური მოძრაობას ერთი ვაი-უშველებელი აქვს ატეხილი, „ქართული ოცნება" საქართველოს რუსეთისკენ მიაქანებსო. ამის დასტურად ისიც მოჰყავთ, რომ ქართული ანსამბლები რუსეთში აპირებენ ტაშ-ფანდურის გამართვას, რაც დიდად მოსაწონი ნამდვილად არ არის. თუმცა, ამაზე ასეთი ამბის ატეხა ნამდვილად არ შეიძლება. ასე თუ წავიდა საქმე, არც რუსებისთვის შეიძლებოდა უვიზო რეჟიმის მიცემა, მაგრამ სააკაშვილმა მისცა.**

ასეთ „წვრილმანებზე“ ნაცმოძი ყურადღების გამახვილებას არ აპირებს. სამაგიეროდ, დეპუტატ ჩიორა თაქთაქიშვილს ძალიან შერცხვა „ერისიონის“, რომელიც მოსკოვში აპირებს ოკუპანტების წინაშე კონცერტის ჩატარებას. დეპუტატმა თავისი აღშფოთება „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოხატა. მანვე ერთი შოკისმომგვრელი ინფორმაცია მოგვაწოდა, უფრო სწორად, გვამცნო, მეოცნებეები შოკისმომგვრელი კანონის მიღებას აპირებენო.

მისი განცხადებით, ამ კვირაში მინიმუმ ერთი შოკისმომგვრელი კანონპროექტის განხილვა დაიწყება პარლამენტში.

მისი თქმით, საუბარია ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე. დეპუტატის განცხადებით, თუ ამ კანონის მიიღება „გაუვიდათ“, ეს ნიშნავს იმის ოფიციალური აღიარებას, რომ თურმე „საქართველოს ტერიტორიები აღარ არის ოკუპირებული და რომ ჩვენ მოვაწყვეთ 2008-ში ოსების გენოციდი“.

– ოკუპირებული ტერიტორიების კანონში თუ იქნება ერთი ცვლილების მიღების პრეცედენტი მაინც, ეს ნიშნავს, რომ სულ რამდენიმე თვის თუ არა, წლის განმავლობაში მოხდება მთელი კანონის ეროზია და საბოლოოდ ეს კანონი იქცევა ფარატინა ფურცლად. შესაბამისად, ამ კანონის მიღებით საქართველო თავისი ნებით იტყვის უარს იმაზე, რომ რუსეთის ტანკებისა და ჯარის ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე, ქართველების ეთნიკური წმენდა, ნახევარი მილიონი ადამიანის გამოყრა საკუთარი სახლებიდან მოიხსენიოს, როგორც ოკუპაცია. ეს კი ნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ მიზანი, საქართველო აღარ იყოს უთანხმოების საგანი რუსეთსა და დასავლეთს შორის, მიღწეული იქნება რუსეთის სახელმწიფო ინტერესის შესაბამისად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესის საწინააღმდეგოდ, რადგან უთანხმოების საგანია სწორედ ის, რომ დასავლეთისთვის საქართველო არის ოკუპირებული და მისი ტერიტორიების დეოკუპაცია არის გარდაუვალი, ხოლო რუსეთისთვის საქართველოს ადგილას არსებობს 3 სხვადასხვა სახელმწიფო და ის არ აპირებს ამ პოზიციის გადახედვას. შესაბამისად, ამ კანონის შეცვლა და გაუქმება ნიშნავს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარებას და იმას, რომ ქართველები თანახმა არიან, საქართველოს ადგილზე იარსებოს სამმა სახელმწიფომ, – აცხადებს დეპუტატი.

მისი თქმით, ამ კანონში ცვლილებების შეტანა საქართველოს ჩააყენებს მონის, რუსეთის ქვეშევრდომის პოზიციაში, რადგან ეს იქნება მონური პასუხი რუსეთის დამამცირებელ მოთხოვნაზე, გაუქმდეს ეს კანონი.

– ამ მოთხოვნას ის ოკუპაციის შემდეგ ყოველთვის აყენებდა, ოღონდ – უშედეგოდ. საქართველოში კოლაბორაციონისტული მთავრობის მოსვლის შემდეგ კი ამ მოთხოვნამ უფრო დამცინავი ხასიათი მიიღო, რადგან ეს იყო პასუხი ივანიშვილის მესიჯზე რუსეთთან ურთიერთობების დათბობასთან დაკავშირებით. ე.ი. იმისთვის, რომ დათბეს ურთიერთობები, საქართველომ თავი უნდა დაიმციროს იმით, რომ ქართული ღვინო ონიშჩენკოს ექსპერტების შესაფასებელი გახდეს, იმით, რომ „ქართულმა“ მოცეკვავე-მომღერლებმა კრემლსა და პუტინს უმღერუცეკვონ, იმით, რომ ივანიშვილმა ხან ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის გაუქმება შესთავაზოს, ხან კიდევ – აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა. მაგრამ რუსეთისთვის ეს არ არის საკმარისი და მანამდე არ აპირებს ბიძინას მოსკოვში ჩაშვებას, სანამ პირობას არ შეასრულებს და თავისივე პირით არ ათქმევინებს, შეგვეშალა, არ უნდა მიგვეღო ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონიო. ამის შემდეგი ნაბიჯი კი იქნება, გვაპატიეთ, თქვენ კი არა ხართ ოკუპანტები, ქართველებმა მოუწყვეს ოსებსა და აფხაზებს გენოციდი და მზად ვართ, ამის სანაცვლოდ, ბოდიშის ნიშნად, არამცთუ საქართველოს დეოკუპაცია მოვითხოვოთ თქვენგან, არამედ ვაღიაროთ, რომ გენოციდის მსხვერპლ აფხაზ და ოს ერებს აქვთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ქონის უფლებაო. ეს ცვლილებები ხდება არა დეოკუპაციის კუთხით რუსეთის მიერ გადადგმული, თუნდაც რაიმე მინიმალური ნაბიჯის სანაცვლოდ, როგორც ეს თვითონ კანონით არის გათვალისწინებული (კანონის თანახმად, კანონი შეიძლება გადაიხედოს მხოლოდ დეოკუპაციის კუთხით მიღწეული პროგრესის შემთხვევაში), არამედ იმ პირობებში, როდესაც კანონის მიღების შემდეგ გაუარესებულია მდგომარეობა. რუსეთის მხრიდან გადასადგმელი მინიმალური ნაბიჯები არაერთგზის არის განსაზღვრული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებით. ეს არის: ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროკავშირის მონიტორების შეშვება, აღიარების გადაწყვეტილების გაუქმება, ევროკავშირის მიერ მიღწეული 12 აგვისტოს 6-პუნქტიანი შეთანხმების შესრულება, რომელიც გულისხმობს რუსეთის ჯარების გაყვანას აგვისტოს ომამდე არსებულ პოზიციებზე. თითოეულ ამ მოთხოვნაზე დღემდე რუსეთის პასუხია: არა! საქართველოს ახალი ხელისუფლების პასუხი კი, ნაცვლად იმისა, რომ დაჟინებით მოითხოვოს ამ პირობების შესრულება, არის, კიდევ რამეს ხომ არ ინებებთ, მაგალითად, იმას, რომ თავი არ მოგაბეზროთ ოკუპანტის ძახილით? – აცხადებს დეპუტატი.



რაღაცაში დეპუტატი თაქთაქიშვილი მართალია. მართლა არ შეიძლება, რუსეთს ასე ენამოჩლექით დავუწყოთ საუბარი, თუმცა, სად იყო ნაცმოძი და თაქთაქიშვილი, როცა სააკაშვილმა ლარსის საზღვარი გახსნა.

ეს აგვისტოს ომის შემდეგ მოხდა. როგორც ერთხელ ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, ამ თემაზე სააკაშვილმა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერევანში აწარმოა მოლაპარაკებები.

სომხური მედიის ცნობით კი ქართველებმა ლარსის გახსნაში ათეულობით მილიონი აიღეს სომხებისგან. ლარსის გახსნა საქართველოზე მეტად მოძმე სომხებს სჭირდებოდათ.

და კიდევ ერთი: სად იყო ნაცმოძი და ჩიორა თაქთაქიშვილი, როცა სააკაშვილმა რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში უვიზოდ შემოსვლის უფლება მისცა? და ვინ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ აქ ტურისტად შემოსული რომელიმე რუსი საქართველოს ოკუპაციაში არ მონაწილეობდა? აკი სააკაშვილმა თავად თქვა, აგვისტოს ომში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის არმიის 90% იბრძოდაო.

ასე რომ, ძვირფასო ნაციონალებო, თქვენც კარგა ენის მოჩლექით ებაასებოდით ოკუპანტებს. ქართული ანდაზა ამბობს: დათვი თუ მოგერია, ბაბაია დაუძახეო. მაგრამ, იმასაც ხომ გააჩნია, როგორ დაუძახებ ბაბაიას.

# გედევან ფოფხაძე: „სააკაშვილს ნაციონალების ბიზნესის გადარჩენა უნდა“

## „ქართული ოცნება“ პრეზიდენტის ინიციატივას მხარს არ დაუჭერს

შორენა მარსაგიშვილი

**საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერის სანაცვლოდ ნაცმოძი რამდენიმე პირობის შესრულებას ითხოვს. ერთ-ერთი პირობა ნაციონალების ხელშეუხებლობაა. ნაცმოძელებმა რამდენჯერმე მოითხოვეს ეკონომიკური ამნისტიაც. ამ მოთხოვნით ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ ხელმოწერების შეგროვებაც კი დაიწყო.**

გულზე ხელები არც მათ ლიდერებს დაუკრეფიათ. თავისი სათქმელი პრეზიდენტმაც თქვა. გუშინ გაირკვა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტის ინიციატივას მხარს არ დაუჭერს. სააკაშვილი სამეწარმეო, ფინანსურ-ეკონომიკური დანაშაულების ამნისტირებასა და ასეთ დანაშაულთა დეკრიმინალიზაციას ითვალისწინებს.

ქვეყნის პირველი პირის მიერ მომზადებული ცვლილებებით, უნდა შეწყდეს აღძრული სისხლის სამართლის საქმეები იმ პირთა მიმართ და



სასჯელისგან ის მსჯავრდებულები უნდა გათავისუფლდნენ, რომლებმაც 2013 წლის 1 იანვრამდე ჩაიდინეს სისხლის სამართლის კოდექსის – 192-ე, 192/1, 193-ე, 194-ე, 194/1, 195/1, 196-ე მუხლებით, 197-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 197/1, 199-ე, მე-200-200/6, 201-ე, 205/1, 210-ე, 211-ე, 216-ე, 218-ე, 219-ე, 220-ე, 220/1, 221-ე მუხლებით, 214-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და ამ ნაწილებთან დაკავშირებით 214-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულები.

ამას გარდა, პრეზიდენტის წინადადებითვე, დგინდება არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და დაფარული ქონების (შემოსავლის) დეკლარირება-ლეგალიზაციის წესები.

სააკაშვილი პარლამენტს „სისხლის სამართლის კოდექსიდან“ ეკონომიკურ-სამეწარმეო დანაშაულებთან დაკავშირებული რიგი მუხლების ამოღებას სთავაზობს და ცალკეულ ეკონომიკურ დანაშაულებთან დაკავშირებით თავისუფლების აღკვეთის გაუქმებისა და სასჯელის სახით მხოლოდ ჯარიმის ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების წინადადებით გამოდის.

მეოცნებეებმა პრეზიდენტს უარი გუშინ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომიდან შეუთვალეს. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძემ განაცხადა, რომ ეს ინიციატივა პრეზიდენტმა მასთან დაკავშირებული ნომენკლატურული, პარტიული ბიზნესის დაცვის მიზნით მოამზადა.

– პრეზიდენტ სააკაშვილის სურვილია, ბიზნესმენთა ის ნაწილი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პირობებში ხელშეუხებელი იყო და სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ვერავინ გაუბედავდა, კვლავ პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, – აღნიშნა ფოფხაძემ.

კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას განცხადებით კი ფინანსურ ამნისტიასთან დაკავშირებით პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივა კონსტიტუციის დარღვევით იქნა მომზადებული.

– კომიტეტი ამნისტიისა და ჰუმანური მიდგომის წინააღმდეგი არ არის და პრეზიდენტის წინადადებას იდეის დონეზე მხარს უჭერს, რომელიც ეხება ლიბერალურ მიდგომას და მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკიდან ლიბერალურ პოლიტიკაზე გადასვლას. ამნისტია ადამიანებისთვის ძალიან კარგია, მაგრამ პრეზიდენტმა კონსტიტუციის 67-ე მუხლი დაარღვია, რომელიც მას ამ საკანონმდებლო ინიციატივის დროს უნდა დაეცვა. კერძოდ, ერთი აუცილებელი პირობა, რომ მას უნდა დაესახელებინა, თუ რა განსაკუთრებული გარემოებების გამო გახდა ამ ცვლილების მომზადება საჭირო და ეს წინადადება თუ რატომ არ შეათანხმა მთავრობასთან. ამას გარდა, კანონპროექტის პარალელურად წარმოდგენილი არ იყო სტატისტიკა, ეს წინადადება რამდენ ადამიანს შეეხება და ეს ბიუჯეტზე რამდენად აისახება. ვინაიდან, ცვლილებები კონსტიტუციის დარღვევებით იქნა შემოტანილი, ჩვენი დასკვნა ძალიან კრიტიკული იქნება, რომელიც იურიდიულ კომიტეტს გადაეგზავნება და იმსჯელებენ, ეს ინიციატივა სესიაზე გავიდეს თუ ავტორს დაუბრუნდეს, – განაცხადა ბესელიამ.

# მაია ფანჯიკიძე: „საქართველოს საგარეო კურსი არ იცვლება“

ნათია ხურცილავა

**საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე მიესალმება ინიციატივას, პრეზიდენტმა და პრემიერმა ერთობლივად მიმართონ ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, რომ ქვეყნის საგარეო კურსი და ორიენტაცია სწორედ ევროპულია.**



როგორც ფანჯიკიძემ განაცხადა, „საქართველოს ევროატლანტიკური კურსი მკაფიოა.

— ვერ გვიპოვით ვერც ერთ გამონათქვამს, ვერც ერთ დოკუმენტს, რომელშიც იყოს დაფიქსირებული სხვა რამე, გარდა საქართველოს ევროპული გზისა და ევროპული არჩევანისა. ყველა გამოსვლაში, ყველა ინტერვიუში მე ყოველთვის ხაზს ვუსვამ, რომ ეს ქართველი ხალხის, ამ ქვეყნის მოქალაქეების არჩევანია. ამიტომ დისკუსია ამ საკითხის ირგვლივ ყურით მოთრეულად მიმაჩნია, რადგანაც ძალიან მკაფიოა საქართველოს გზა ევროკავშირისა და ნატოსკენ. ამაზე მუშაობს არა მხოლოდ ეს სამინისტრო, არამედ მთელი მთავრობა. მთელი დისკუსია ოპოზიციის მხრიდან, რომ თითქოს საქართველოს საგარეო პოლიტიკური გზა საფრთხეშია, გამიზნული იყო არასწორი შთაბეჭდილების შექმნაზე. თქვენ იცით, რომ პარლამენტში მომზადდა ჯერ ერთი დოკუმენტი, ახლა უკვე მეორე, რომელშიც გაწერილია საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი. გარდა ამისა, ოპოზიცია მოითხოვდა ევროპული არჩევანის კონსტიტუციაში დაფიქსირებას, მე მიმაჩნია, რომ ეს შესაძლებელია, თუკი ასეთი რამ დაიშვება კონსტიტუციაში, ასევე ერთობლივი წერილის მიმართვაც დასაშვებია და სწორედ ამის მზაობა გამოითქვა პრემიერის მხრიდან, რომ შესაძლებელია მომზადდეს ერთობლივი დოკუმენტი, განცხადება თუ მიმართვა, რა ფორმა ექნება ამას, ჯერჯერობით მე არ ვიცი, მაგრამ ამაში სწორედ საგარეო პოლიტიკური კურსი დაფიქსირდება. მე ამაში განუხორციელებელსა და პრობლემურს ვერაფერს ვხედავ. თუკი ასეთი დოკუმენტი მომზადდება, ეს ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან კარგი იქნება, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

„ნაციონალური მოძრაობა“, საპარლამენტო უმცირესობა, როგორც ცნობილია, გამოდის ინიციატივით, რომ პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა ერთობლივი წერილით მიმართონ ნატო-სა და ევროკავშირს.

ევროკავშირის წარმომადგენელი, ადამიანის უფლებათა დამცველი თომას ჰამერბერგი საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი პროცესების თაობაზე დასკვნას ივნისის ბოლოს გამოაქვეყნებს. როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა თომას ჰამერბერგი საქართველოში მოიწვია, რათა მან, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დამცველმა, მონიტორინგი გაუწიოს საქართველოში სისხლის სამართლის გახმაურებულ საქმეებს.

გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში თომას ჰამერბერგსა და მაია ფანჯიკიძეს შორის შეხვედრა შედგა. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ თომას ჰამერბერგი საქართველოში სამართლებრივი პროცესების შესახებ დასკვნას რამდენიმე თვეში დადებს.

საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, შეხვედრაზე ასევე საუბარი შეეხო იმას, თუ სად დგას საქართველო ამჟამად ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით.

— ჩვენთვის ბატონი თომას ჰამერბერგის ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია. საერთოდ, მისი მისია ძალიან მნიშვნელოვანია. ის გასწევს მონიტორინგს მიმდინარე პროცესებზე, რომელიც ჩვენ გამჭვირვალედ გვინდა, წარიმართოს, რათა არც ერთი შეკითხვა არ დარჩეს, არც საქართველოში და არც უცხოეთში იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესები საქართველოში. განსაკუთრებით ეს სამართალდამცავ სფეროს ეხება, — აცხადებს საგარეო უწყების ხელმძღვანელი.

მაია ფანჯიკიძე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინისა და ბიძინა ივანიშვილის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის პრაღაში შეხვედრის შემდეგ გაკეთებულ განცხადებასაც გამოეხმაურა.

საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, კარგი იქნება, თუ რუსეთი სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან დაკავშირებით ნათქვამს რეალურ ნაბიჯებსაც მოაყოლებს.

— ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ კარასინი-აბაშიძის მოლაპარაკებების ფორმატში ჰუმანიტარული საკითხები იქნებოდა ერთ-ერთი მთავარი. სწორედ ამაზე იყო საუბარი 1 მარტს პრაღაში შეხვედრისას. ძალიან დადებითად ვაფასებ იმას, რომ რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმი გარკვეული სახით გამარტივდება. მოგეხსენებათ, საქართველოს ცალმხრივად აქვს სავიზო რეჟიმი გაუქმებული, ხოლო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ დიპლომატიური ურთიერთობების არქონის პირობებში სავიზო რეჟიმის სრულად გაუქმება არ მიაჩნიათ რეალურად. ამას დიპლომატიური ახსნა, რასაკვირველია, აქვს. მიუხედავად ამისა, თუკი რეალურად გაიზრდება გაცემული ვიზების რაოდენობა და იგი გამარტივდება სტუდენტებისთვის, მეცნიერებისთვის, სპორტსმენებისთვის და სხვა, ეს ჩვენი საზოგადოების მხრიდან ძალიან კარგად იქნება აღქმული, ვინაიდან ბევრს უჩნდება პრობლემა რუსეთის ვიზის აღების დროს, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, რუსეთის მხრიდან გამარტივებული სავიზო რეჟიმი ზაფხულიდან ამოქმედდება.

— რუსეთის მხარე მუშაობს იმაზე, რომ სავიზო რეჟიმის გამარტივება, შერბილება მოხდეს, ასე ვთქვათ, გარკვეული კატეგორიებისთვის, ხაზს ვუსვამ, რომ გაუქმებაზე საუბარი არ არის. ახლა საუბარია იმაზე, რომ მოქალაქეთა კატეგორიები და მომწვევთა კატეგორიაც გაიზარდოს. ალბათ, ეს სტუდენტებს, ბიზნესმენებს, მეცნიერებს შეეხებათ. ჩემი აზრით, რუსეთის მხრიდან გამარტივებული სავიზო რეჟიმი სადღაც ზაფხულისთვის გვექნება, — აცხადებს ზურაბ აბაშიძემ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ადამიანის უფლებათა დამცველ თომას ჰამერბერგს შეხვდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოწვევით, ევროკავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ქეთრინ ეშტონმა და გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა შტეფან ფულემ საქართველოში მოავლინეს სპეციალური წარმომადგენელი — თომას ჰამერბერგი, როგორც ევროკავშირის სპეციალური კონსულტანტი სამართლებრივ და კონსტიტუციურ საკითხებსა და ადამიანის უფლებებში.

თომას ჰამერბერგის მისიის მიზანია, უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში, ევროკავშირის სახელით, საქართველოს მთავრობას გაუწიოს კონსულტაციები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სასამართლო რეფორმა, კონსტიტუციური რეფორმა, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა, პენიტენციური რეფორმა, ადამიანის უფლებების დაცვა და სხვა.

ჰამერბერგი საქართველოში მიმდინარე რეფორმებსა და პროცესებს აქტიურად მიადევნებს თვალს.

# სააკაშვილი ივანიშვილს ერთობლივი განცხადების გაკეთებას სთხოვს

ნათია ხურცილავა

საქართველოში ვიზიტით ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ლინას ლინკევიჩიუსი იმყოფება. ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ლინას ლინკევიჩიუსი გამოდის ინიციატივით, საქართველოს პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გააკეთონ.

ლინკევიჩიუსმა აღნიშნული განცხადება პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე განაცხადა. მხარეებმა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, თანამშრომლობის საკითხები და შემდგომი განვითარების პერსპექტივები განიხილეს. საუბარი, ასევე, შეეხო საქართველოს სწრაფვას ნატოსა და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ.



პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველომ დიდი ხნის წინ გააკეთა არჩევანი, გახდეს ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი.

ლიტვის პირველი დიპლომატის ინიციატივასზე თანხმობა უკვე გამოხატა საქართველოს პრეზიდენტმაც. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მისი და პრემიერის ერთობლივი წერილი ნატოსა და ევროკავშირისადმი პოლიტიკური კლასის ერთიანობის დემონსტრაცია იქნება.

— გვიხარია, ჩვენი ძველი მეგობრის, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის ნახვა. რეალურად მას ძალიან საინტერესო საუბრები ჰქონდა საქართველოში, მთავრობის წარმომადგენლებთან, მათ შორის, პრემიერ-მინისტრთან. დღევანდელი ჩვენი საუბრის შემდეგ, მე კიდევ ერთხელ მინდა, დავადასტურო ჩვენი ძველი შეთავაზება, რომ მე და პრემიერ-მინისტრმა ერთობლივი წერილით მივმართოთ ევროკავშირს და ნატოს, მიუხედავად ჩვენი შიდაპოლიტიკური განსხვავებებისა, ერთობლივი გეგმა გავწეროთ, რომ ჩვენ გვინდა, ევროატლანტიკური და ევროპული ორიენტაციის კურსის გაგრძელება. ვფიქრობ, პრემიერთან შეხვედრა არ უნდა დარჩეს მხოლოდ შეხვედრად. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გამოვიყენოთ ის, რომ რაღაც სახის დიალოგი აღდგა და ახლა ევროპულ ინსტიტუტებთან დინამიკა არ დავკარგოთ. თუ საქართველოს შიდა ვითარება ცუდად განვითარდა, თუ ჩვენ წავედით ნაკლები სტაბილურობისკენ ან დემოკრატიულ ინსტიტუტებს შეექმნათ საფრთხე, მაშინ ამის გაგრძელება იქნება, რომ ჩვენ შეიძლება ჩამოვრჩეთ იმ პროგრესს და იმ ტემპს, რომელიც აკრეფილი გვქონდა ევროპასთან ინტეგრაციაში. ეს არ უნდა უნდოდეს არავის. ეს არ უნდა უნდოდეს მთავრობას, რა თქმა უნდა, ეს არ მინდა მე, იმიტომ რომ, ჩვენ ყველანი და მე პირადად, ამას რუდუნებით ვაშენებდით მთელი წლების განმავლობაში. პირიქით, ახალმა მთავრობამ უნდა გააგრძელოს ის, რასაც ჩვენ ვაკეთებდით და ბევრი რამე, შეიძლება, უკეთესადაც გააკეთოს, რაც მხოლოდ გამიხარდება. ამიტომ, ჩვენი ერთობლივი მიმართვა, რომელზეც ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრიც ესაუბრა პრემიერ-მინისტს, იქნება კარგი დემონსტრაცია იმისა, რომ ჩვენ ყველანი საქართველოს შვილები ვართ. ჩვენ გვყავს ბევრი მეგობარი ევროპაში, რომელიც ამ გზაზე გვატარებს და ყველამ ერთად უნდა მივაღწიოთ გარკვეულ შედეგს. ამიტომ ვუბრუნდებით ჩვენს წინადადებას და მე ვფიქრობ, შევთანხმდებით, რომ ერთობლივად მივმართოთ ევროპულ ინსტიტუტებს. ეს იქნება საქართველოს პოლიტიკური კლასის ერთიანობის დემონსტრაცია. ჩვენ როგორც არ უნდა გვქონდეს განსხვავებები, ყველა განსხვავებას გვერდზე გავდებთ, როდესაც საქმე ეხება საქართველოს ინტერესებს. — განაცხადა სააკაშვილმა.

# სოსო ცისკარიშვილი: „პარლამენტი აქტიურ მოქმედებაზე უნდა გადავიდეს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლი აქვს სიცრუითა და სიყალბით გამორჩეულ ყოფილ პრეზიდენტს, ამაზე დიდი დებატები, ცხადია, ქვეყანაში აღარასოდეს გაიმართება.

***— ბატონო სოსო, ეს შეხვედრა იმისთვის სჭირდებოდა სააკაშვილს, რომ შემდეგ ეთქვა საზოგადოებისთვის, ოღონდ ქვეყანაში სტაბილურობა იყოს და მზად ვარ ყველანაირი მოლაპარაკებისთვისო?***

— არა, ეს მოძველებული ფირფიტაა, თანაც — გაბზარული. ეს ყველაფერი სათაურების სახით უკვე წინასწარ იყო ნათარგმნი ნაცმოძრაობის იდეოლოგების მიერ ინგლისურ ენაზე და სამადსამი გზავნილი იყო მთავარი, რომ მათ ელექტრონული ფოსტით გაევრცელებინათ მათთვის მუდმივი საკონტაქტო პირების მისამართებზე. ეს გზავნილები კი თითქოს იყო მოწოდებები პრემიერ-მინისტრისთვის, თავი დაანებოს ზეწოლას სასამართლოზე, თავისუფალ მედიასა და უდანაშაულო მოსახლეობაზე. ეს, ცხადია, უკეთეს შემთხვევაში, პრიმიტიული დემაგოგიაა, რომელიც მხოლოდ წარსულში ჩარჩენილი ნაციონალური მოძრაობის ზღვარგადასულ მხარდამჭერებს თუ მოჰგვრის სიამოვნებას. რატომ ეგულებათ ასეთი გონებაშეზღუდული ადამიანები საზღვარგარეთ, ეს უკვე მათთვის დასასმელი შეკითხვაა. არა მგონია, დასავლური ცივილიზაციის ასეთი მიმნდობი წარმომადგენლები მრავლად იყვნენ და მხოლოდ ერთეულები შეიძლება დათანხმდნენ თავის მოტყუებას, მსგავსად ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარისა, მსგავსად უნგრეთის პრემიერ-მინისტრისა და, ალბათ, მორჩა კიდეც ნაცების ევროპელი ფანატების ჩამონათვალი.

***— სასამართლოზე საუბრობდით. იმას, რეალურად რაც ხდება, კარგად ხედავს ქართველი საზოგადოება. როგორ ფიქრობთ, აქვს იმის ბერკეტები ახალ ხელისუფლებას, რომ შეიცვალოს სიტუაცია, მართლაც დამოუკიდებელი გახდეს სასამართლო და ნაციონალების სასარგებლო გადაწყვეტილებები არ გამოიტანოს?***

— იცით, ალბათ, დროა, რომ პარლამენტი გადავიდეს საგანგებო ქმედებების რეჟიმში. მე ვგულისხმობ საკანონმდებლო ინიციატივების განხილვისა და ცხოვრებაში გატარების სისწრაფეს. ერთადერთი, რაც ასეთ რეჟიმში ჩატარდა ჩვენი პარლამენტის მიერ, გახლდათ ამნისტიის მომზადება და პოლიტპატიმრების გათავისუფლება. თუმცა, ასეთი ხანგრძლივია იუსტიციის საბჭოსთან მიმართებით რაიმე კანონის ცვლილების ან მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით, თუნდაც სხვა სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებული აუცილებელი ცვლილებების თაობაზე მსჯელობა. არ არის აუცილებელი, დავიწყოთ მაინცდამაინც კონსტიტუციის ცვლილებებით. არსებობს არაერთი სერიოზული საკითხი არსებულ კანონმდებლობაში, რომელიც უმრავლესობის ხელმისაწვდომია და, ამდენად, პარლამენტის გრაფიკი უნდა იყოს შესაბამისი ქვეყანაში არსებული ვითარებისა, ხოლო ვითარება, რაც არ უნდა დამამშვიდებელი სიტყვები მოვისმინოთ ხელისუფალთაგან, მაინც აბსოლუტურად მიუღებელია იმ ქვეყნისათვის, რომელმაც სრულიად მკაფიოდ დააფიქსირა საკუთარი მოსახლეობის პოზიცია გასულ შემოდგომაზე, მაგრამ შესაბამის შედეგს ვერ იღებს. ვერ იღებს ტოტალური საბოტაჟის გამო, რომელიც ჯერ კიდევ სახეზეა და რომელშიც ჩათრეულია როგორც სასამართლო სისტემა, ასევე საბანკო სისტემის სერიოზული ნაწილი, კონტროლის პალატა, დიპლომატიური კორპუსის დიდი ოდენობა საზღვარგარეთ და უმრავლესობა ადგილობრივი მმართველობითი ინსტიტუტებისა ქვეყანაში. ამიტომ ორხელისუფლებიანობა, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად განსხვავებული წონის ფიგურები არიან დღეს პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი, მაინც სახეზეა, რადგან კანონი, რომელიც ზღუდავს არსებული ხელისუფლების შესაძლებლობებს, ჯერ კიდევ მოქმედებაშია.

***— ყველაფრის მიუხედავად, სააკაშვილმა განაცხადა, მოგატყუებთ, რომ გითხრათ, კომფორტულ სიტუაციაში ვარ, ეს მდგომარეობა დისკომფორტს მიქმნისო. როგორ ფიქრობთ, რას უნდა ველოდოთ 19 აპრილის აქციისთვის და ზოგადად რა პროგნოზების გაკეთება შეგიძლიათ ამ თვესთან დაკავშირებით?***

— ე.ი. იმდენად ადრე მოუვიდა ამ თარიღის დაანონსება ამხანაგ მერაბიშვილს, რომ თანდათან ინტერესი ქრება ამ თარიღის მიმართ, რადგან, ჩემი აზრით, უფრო აქტუალური იქნება იმ დროისთვის პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორება, ვიდრე რაიმე პოლიტიკურ პერსპექტივაზე ზრუნვა ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებისთვის. ამასთანავე, ცხადია, მოსახლეობისთვის უფრო საინტერესო და აქტუალური ხდება ინფორმაცია, რომელსაც ჯერ ის ვერ ფლობს, თუნდაც იმის თაობაზე, რა ბედი ეწია იმ უკანონო ფორმირებებს, რომელსაც სპეციალური და ნებაყოფლობითი რეზერვი დაერქვა არჩევნების წინა პერიოდში. ამ ფაქტის შესახებ გვაუწყებდა ბატონი ირაკლი ალასანია, რომ ეს რაზმები შეიარაღდნენ ყოფილი ხელისუფლების მიერ და განლაგდნენ გაურკვეველ ადგილებში. სოფლებში რიგდებოდა ასეთი ავტომატები, მათ შორის ასაკოვან მამაკაცებს აიარაღებდნენ თითქოსდა სოფლის დასაცავად, თუმცა, არ განუმარტავდნენ, ვისგან უნდა დაეცვათ ეს სოფელი. სად არიან ეს ადამიანები, ან ეს იარაღი სად არის? რამდენია ამოღებული ასეთი იარაღი? არსებობს თუ არა კიდევ ასეთი ნებაყოფლობითი „რეზერვი“, რადგან არავითარი ნებაყოფლობითობა არ ახასიათებდა არც მაშინ ამ პროცესს. ჯობია, ეს ინფორმაცია მოსახლეობას ბევრად ადრე ჰქონდეს, ვიდრე აპრილი დადგება ქვეყნად.

***— თქვენი აზრით, რამდენად სახიფათოა ეს მდგომარეობა?***

— თუ არსებობს რაიმე ხელმისაწვდომი ინფორმაცია ხელისუფლებისთვის, რომ, კონსტიტუციის შესაბამისად, ვადაგასულ პრეზიდენტს აქვს ხელმისაწვდომობა ჯარზე, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს, მაშინ საფრთხე შეიძლება იყოს რეალური. თუ შესაბამისი კადრები დღესაც ფლობენ გავლენას ჯარსა და პოლიციაზე, მაშინ შეგვიძლია ვინერვიულოთ, მაგრამ გულხელდაკრეფის დრო ნამდვილად არც ხელისუფლებას აქვს და არც საზოგადოებას, რომელსაც უნდა მუდმივად ჰქონდეს მზაობა, რომ პირველი ოქტომბერი ნებისმიერ კვირა დღეს გაიმეოროს.

***— ბატონო სოსო, თქვენ მიერ დასახელებული ძალოვანი სამინისტროები რომ კვლავაც სავსეა ძველი კადრებით, ესეც ცნობილია საზოგადოებისთვის.***

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენზე მეტი ინფორმაცია გააჩნიათ ამ უწყებების ხელმძღვანელებს. ისინი თავად ნამდვილად სარგებლობენ მოსახლეობის ნდობით, ხოლო თუ თვითონ ამ პირებს რაიმე ტიპის დახმარება სჭირდებათ, რასაკვირველია, შესაბამისი გამოცდილების მქონე ადამიანები არ დაზარდებიან, იყვნენ მათ გვერდით იმ საფრთხეების შესამცირებლად, რომელიც, გვსურს თუ არ გვსურს, მაინც შეიძლება არსებობდეს ისეთ დიდ და დიდი ხნის განმავლობაში უკონტროლო სისტემებში, რომელსაც ჰქვია ძალოვანი სტრუქტურები.

***— პოლიტიკურად ცხელი აპრილი გველის თუ შედარებით გრილად ჩაივლის?***

— აპრილი, ბუნებრივი მოვლენებიდან გამომდინარე, იქნება დეკემბერსა და იანვარზე უფრო თბილი, მაგრამ რაიმე ხიფათი ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ნამდვილად არ შეიძლება იყოს რეალისტური.

# მანანა ნაჭყებია: „საგარეო კურსის უცვლელობაზე კონსტიტუციაში ჩანაწერი აუცილებლად უნდა გაკეთდეს“

შორენა კოწოწაშვილი

რა პრეტენზიები აქვთ „ახლებს“ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესთან და მმართველობის რომელ მოდელს უჭერენ ისინი მხარს? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ახალი მემარჯვენეების“ წევრ მანანა ნაჭყებიასთან.



***— ქალბატონო მანანა, რატომ ფიქრობთ, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია კონსტიტუციაში გაჩნდეს ჩანაწერი საქართველოს დასავლური კურსის შესახებ?***

— მიგვაჩნია, რომ თუ კონსტიტუციაში გაჩნდება ასეთი ჩანაწერი, კარგი იქნება ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის. ძალიან კარგია, რომ აღმოიფხვრა ეს გარკვეული უცოდინრობა ამასთან დაკავშირებით, თითქოს ამას არც ერთი განვითარებული სახელმწიფო არ აკეთებს. მოყვანილ იქნა უამრავი მაგალითი, როცა ეს არის დაფიქსირებული უამრავი ქვეყნის კონსტიტუციაში, მათ შორის ავსტრიის, ხორვატიის, ლიტვის და სხვა ქვეყნების კონსტიტუციებში. ჩვენ მივესალმებით თუ ასეთი ჩანაწერი გაჩნდება. იმის ნათელი მაგალითი, რომ ეს ჩანაწერი ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსისთვის, არის ლიტვის მაგალითი, რომელმაც ასეთი ჩანაწერით ბოლომდე იბრძოლა, რუსეთს არ დაუტოვა არანაირი შანსი და ბერკეტი და წინასწარ უთხრა, რომ კონსტიტუციით გვაქვს გაცხადებული, რომ ჩვენ არ შევალთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიერ გამოცხადებულ რაიმე კავშირში. ლიტვამ ბოლომდე იბრძოლა და თავისას მიაღწია. დღეს ლიტვა ევროკავშირის წევრია და დასავლური კურსი აქვს გაცხადებული. ამიტომ, ცხადია, ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ ასეთი ჩანაწერის გაჩენა კონსტიტუციაში. „ახალი მემარჯვენეები“ ვისურვებდით, რომ „ქართული ოცნების“ მხრიდანაც გადმოდგმულიყო ნაბიჯები ამასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, მით უმეტეს, თვითონ პრემიერ-მინისტრი მუდმივად აკეთებს განცხადებას, რომ ის არ აპირებს საგარეო კურსის შეცვლას. საგარეო საქმეთა მინისტრიც ამას იმეორებს. ამიტომ, რა უდგას ამას წინ?! ქვეყანა მოგებული დარჩება, თუ კონსტიტუციაში ეს ჩანაწერი გაჩნდება. ამავდროულად პრეზიდენტი აღარ იქნება უფლებამოსილი, მთავრობა ერთპიროვნულად დაითხოვოს.

***— ანუ მმართველმა ძალამ საპარლამენტო უმცირესობის წინადადება უნდა მიიღოს და ამ დათმობაზე წავიდეს?***

— ვფიქრობ, ამ წინადადებაში არც გასაკვირი არაფერია და არც მიუღებელი. პირიქით, აქ ორი მომენტია: ერთი, რომ ამ წინადადების მიღება განმუხტავს იმ დაძაბულობას, რომელიც შეიქმნა მმართველ ძალასა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის; და მეორე, ეს მართლაც სჭირდება ქვეყნის ინტერესებს. მე დღეს არა მგონია, საქართველოში ვინმეს ჰქონდეს, გარდა გარკვეული მარგინალური ჯგუფებისა, აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი გზა არ არის ევროპული გზა. ერთმნიშვნელოვნად საქართველოს მომავალი მხოლო და მხოლოდ ევროპულ სივრცეში განიხილება. ვფიქრობ, ყველა გონიერი ადამიანი ამაზე ვთანხმდებით, რომ საქართველოს გზა არის დასავლეთისკენ. თუ ამის კონსტიტუციაში ასახვა მოხდება, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

***— საკონსტიტუციო რეფორმის განხილვის პროცესთან ხომ არ გაქვთ „ახლებს“ პრეტენზიები? ზოგიერთი პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ არასწორად მოიქცა ხელისუფლება, არც სახელმწიფო კომისია შექმნა და არც სხვა პოლიტიკური პარტიები ჩართო განხილვაში...***

— რამდენადაც ვიცი, სახელმწიფო კომისია შექმნილია, უბრალოდ, თვითონ ეს პროცესი — სახელმწიფო კომისიის საქმიანობა, მოგეხსენებათ, როგორ წარიმართა. ნებისმიერ რაიონულ ცენტრში ამას მოჰყვა დაპირისპირება და საბოლოოდ, საპარლამენტო უმცირესობამ უარი თქვა ამ პროცესში მონაწილეობაზე. მაგრამ ერთია სახელმწიფო კომისია და მეორე ის, რომ ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს მთელი პოლიტიკური სპექტრი, რომელიც დღეს ქვეყანაში მოქმედებს. მოგეხსენებათ, კონსტიტუცია პოლიტიკური ძალების კონსენსუსის საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული. მაქსიმალურად ყველა ძალა უნდა შეთანხმდეს და გადაწყვიტოს, როგორ უნდა იცხოვროს ქვეყანამ, რა პირობებში და როგორი თამაშის წესებით უნდა იმართებოდეს ქვეყანა. კონსტიტუცია ყველგან არის ყველაზე მეტად შეთანხმებული დოკუმენტი პოლიტიკურ ძალებს შორის. ამიტომ, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, თუ ამ ცვლილებებთან დაკავშირებით პარლამენტს გარეთ დარჩენილ პოლიტიკურ ძალებს შორის სამუშაო ჯგუფი შეიქმნებოდა და ჩვენი წინადადებებიც იქნებოდა კონსტიტუციის მიღებისას გათვალისწინებული. მაგრამ, არა უშავს, თუ ამ ეტაპზე ეს ვერ მოხერხდა. მეორე მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან არის მზაობა, რამდენიმე შეხვედრა გაიმართა კიდეც, სადაც ითქვა, რომ შეიქმნება ფორმატი, დაზუსტდება ამ ფორმატში შემავალი ძალების ჩამონათვალი და მომავალ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით დაიწყება ძალიან სერიოზული მსჯელობა. მოგეხსენებათ, ახლა საქართველოს კონსტიტუცია აუცილებლად ითხოვს ცვლილებას იმიტომ, რომ ბოლო ცვლილებები განხორციელდა იქიდან გამომდინარე, რომ მიხეილ სააკაშვილს ეწურებოდა პრეზიდენტობის ვადა და ის იმზადებდა სავარძელს უკვე პრემიერმინისტრობისთვის. ამიტომ, ძალიან ბევრი რამ იმ კონსტიტუციაში, რომელიც სრულად 2013 წლის დეკემბერში უნდა ამოქმედდეს, არის სწორედ გადახრილი იქითკენ, რომ ძლიერდება პრემიერ-მინისტრი. ჩვენ, „ახალი მემარჯვენეები“, თავიდანვე ვიყავით ჩართული ამ პროცესში. თქვენ გახსოვთ, რომ ჩვენ შეხვედრა გვქონდა დავით ბაქრაძესთანაც, კონსტიტუციონალისტებთანაც. ამ მოდელთან დაკავშირებით ყველაზე მთავარი ჩვენი პრეტენზია და, სხვათა შორის, რესპუბლიკელებისაც, იყო ის, რომ გადაჭარბებული უფლებები აქვს მინიჭებული პრემიერ-მინისტრს. ამიტომ, ცხადია, ამის გადახედვა აუცილებელია. იცით, რა საფრთხეს შეიცავს კონსტიტუცია, რომელიც 2013 წელს შეიძლება ამოქმედდეს. პრემიერი აკომპლექტებს მთავრობას და შემდეგ ნდობისთვის წარადგენს პარლამენტში და თუ მიიღებს ნდობას, მთავრობა ითვლება დამტკიცებულად. მაგრამ პრემიერ-მინისტრს შეუძლია ნდობის მოპოვების მეორე დღესვე დაითხოვოს მთელი მთავრობა, მისთვის სასურველი მთავრობა შეადგინოს და ისე დაიწყოს ამ მთავრობამ მუშაობა, რომ მისთვის უკვე საჭირო აღარ იქნება პარლამენტში ნდობაზე მისვლა. ეს წარმოუდგენელი რამაა. ამას სააკაშვილი თავისთვის იმზადებდა. ეს არ უნდა მოხდეს არც ივანიშვილის პრემიერობის შემთხვევაში და არც შემდგომში. დარწმუნებული ვარ, დადგება დრო, როცა ეს დაძაბულობა განელდება ქვეყანაში, შეიქმნება ფორმატი, რომელშიც ქვეყანაში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური პარტიები იქნებიან ჩართული და მოხდება კონსტიტუციის ძირეულად გადახედვა; მათ შორის, ამოღებული იქნება ის მუხლებიც, რომლებიც ხელს უშლის ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსს. მთავარია, ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსს მივაღწიოთ. უნდა მივეჩვიოთ, რომ ხელისუფლების ერთი შტო უნდა აკონტროლებდეს მეორეს და არ უნდა აძლევდეს მას შეცდომის დაშვების უფლებას. სწორედ ასეთი კონსტიტუციის მიღებას გვინდა მივაღწიოთ.

***— მმართველობის რომელი მოდელია თქვენთვის მისაღები — საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო მმართველობა?***

— ჩვენ საკონსტიტუციო მონარქიის მომხრე ვიყავით. საკონსტიტუციო მონარქია არის იგივე საპარლამენტო რესპუბლიკა და ამ მოდელში მეფის სახით იყო ძალიან კარგად გამოკვეთილი მიუმხრობელი არბიტრის როლი. სამწუხაროდ, საქართველო მზად არ აღმოჩნდა ამ წინადადებისთვის, რომელიც სხვათა შორის, პირველად უწმინდესმა და უნეტარესმა, კათოლიკოს-პატრიარქმა გააჟღერა და ჩვენ მას მხურვალედ დავუჭირეთ მხარი. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ამ მოდელის განხორციელების შანსი, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში ქვეყანაში არ არის. ამიტომ, ცხადია, თუ ეს არ გამოდის, ჩვენთვის საპრეზიდენტო რესპუბლიკა უფრო მისაღებია. ამიტომ ამ დავასა და კამათში უნდა იქნეს მიღწეული კონსენსუსი მთავარ პოლიტიკურ ძალებს შორის. ვეთანხმები იმ პოლიტიკოსებს, რომ ეს გემოვნების საკითხია. ყველა მისთვის მისაღებ მოდელს ირჩევს. გემოვნება ერთია, მაგრამ კონსტიტუცია ფართო შეთანხმების დოკუმენტი უნდა იყოს.

***— რას იტყვით პრემიერის მიერ გაცხადებულ სამდღიან ულტიმატუმსა და იმ პოზიციაზე, რომელიც ივანიშვილმა პრეზიდენტის გასაგონად ინტერნეტით გაავრცელა? ფაქტია, ივანიშვილის ეს განცხადება პროკურატურის გააქტიურებას ემთხვევა.***

— ძალიან გამიჭირდება რაიმე ვარაუდის და წინასწარი პროგნოზის გაკეთება. მართლაც, ვითარება არის იმდენად დაძაბული, რომ რომელი მხარე დათმობს, ძალიან ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ ერთმნიშვნელოვნად შემიძლია გითხრათ, ქვეყანას რა სჭირდება. ქვეყანას სჭირდება ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევა. ქვეყანას სჭირდება, რომ მმართველი ძალაც და ოპოზიციაც დასხდნენ და მიიღონ შეთანხმებულად ის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც ქვეყანას ამ პოლიტიკური კრიზისიდან და ამ უმძიმესი დაძაბულობიდან გამოიყვანს. ამიტომ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ შეგვიძლია მოვუწოდოთ ორივე მხარეს და ვუთხრათ, რომ უნდა დასხდნენ და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ერთმაც დათმოს და მეორემაც. მათ შეთანხმებას აუცილებლად უნდა მიაღწიონ. რა იქნება ქვეყნისთვის საუკეთესო? — ის, რომ ამოღებული იქნება მუხლი, რომ პრემიერს ერთპიროვნულად ექნება მთავრობის დათხოვნის უფლება; და მეორე მხრივ, გაჩნდება ჩანაწერი ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით. არა მგონია, რომ ან ერთი, ან მეორე გადაულახავი ბარიერი იყოს. ქვეყნის განვითარების პერსპექტივა ორივე მხარეს ავალდებულებს, რომ ამ საკითხის გადაჭრას გონიერებით მიუდგნენ და ეს ყველაფერი შეთანხმების საფუძველზე გადაწყდეს.

## ევროპის მასშტაბით საქართველოს მაკდონალდსი საუკეთესოა



საქართველოს მაკდონალდსის ქსელმა ევროპის მასშტაბით საუკეთესო შეფასება მიიღო. სპეციალური ჯილდო საქართველოს მაკდონალდს 2012 წლის საუკეთესო მაჩვენებლებისთვის ამ დღეებში გადაეცა და მისი ნახვა რუსთაველზე არსებულ ფილიალში მისულ ყველა მომხმარებელს შეუძლია.

სწრაფი კვების წამყვანი გლობალური ქსელი მაკდონალდსი ასეთ ჯილდოს ყოველწლიურად სხვადსხვა მონაცემის ანალიზის შედეგად აწესებს და საუკეთესო რეზულტატების მქონე მხოლოდ ერთ ქვეყანას გადასცემს.

მაკდონალდსის მენეჯმენტის ინფორმაციით, მკაცრი შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა ხარისხი და სერვისი, ფინანსური რეზულტატები, გეგმის შედეგების ანალიზი, საიდუმლო მომხმარებლის ვიზიტების შეფასება და სხვა.

კომპანიის განმარტებით, შეფასებისას ყველაზე მეტი ყურადღება ექცეოდა იმას, რომ მაკდონალდსის პროდუქცია იქმნება უსაფრთხო გარემოში, ყოველგვარი დანამატებისა და ჰორმონების გარეშე, ხოლო საკვები რაციონი გამდიდრებულია სულ უფრო მეტი ხილითა და ბოსტნეულით.

„გვიხარია და გვეამაყება, რომ ევროპაში საუკეთესო მაჩვენებლები გვაქვს. პროდუქტი, რომელსაც ჩვენი სტუმრები და თანამშრომლები ასე გემრიელად მიირთმევენ, შემოწმების რამდენიმე ეტაპს და ხარისხის კონტროლის საფეხურებს გადის. ინტენსიური კონტროლი ხორციელდება როგორც პროდუქტებზე, რომლისგანაც საკვები მზადდება, ასევე უკვე მზა პროდუქციაზე. მაგალითად, სანამ თქვენ იყიდით „ბიგმაკს“ ის შემოწმების 98 საფეხურს გადის. ხორცი გადის ხარისხის 50-მდე შემოწმებას. კარტოფილი ფრის მოსამზადებლად ვიყენებთ საუკეთესო ჯიშების კარტოფილს, რომლის შესასწვავად გამოიყენება მხოლოდ 100%-იანი მცენარეული ზეთი. ასე რომ, ვიყენებთ მხოლოდ და მხოლოდ ნატურალურ და ჯანსაღ პროდუქციას,“ აცხადებენ მაკდონალდსში.

რაც მთავარია, კომპანია ასევე ცდილობს საკვები კიდევ უფრო ჯანმრთელი გახადოს, მაგალითად შეამციროს ცხიმიანობა, მარილიანობა. ასევე მისი მენიუ გამდიდრებულია მცენარეული საკვების ფართო არჩევანით, როგორც უფროსებისთვის, ასევე ბავშვებისთვის. მაგალითად Happy Meal-ში არის შესაძლებლობა მშობელმა აირჩიოს ფრეში, ვაშლი და იოგურტი.

როგორც მენეჯმენტში აცხადებენ, მიღებული პრესტიჟული ჯილდო არის სტიმული, რომ მაკდონალდსი კიდევ უფრო განვითარდეს, საუკეთესო მომსახურება, ჯანსაღი და უგემრიელესი მენიუ შესთავაზოს მომხმარებლებს. გარდა ამისა, გაგრძელდება საქველმოქმედო პროექტები და განხორციელდება მწვავე ინიციატივები.

**მაკდონალდსი არის რესტორნების წამყვანი გლობალური ქსელი. მსოფლიოს 119 ქვეყანაში მაკდონალდსის 34,000-ზე მეტი რესტორანი ყოველდღიურად დაახლოებით 68,000,000 ადამიანს ემსახურება. საქართველოში მაკდონალდსის პირველი რესტორანი 1999 წელს გაიხსნა და დღეს უკვე 6 ფილიალი აქვს — ოთხი თბილისში, და ერთი ქუთაისსა და ბათუმში.**

# სასამართლო პროცესების საჯაროობა

*საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებული კანონპროექტი, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამოქმედო არეალის გაზრდას ეხებოდა, ცოტა ხნის წინ საქართველოს პარლამენტმა მიიღო. ამ სიახლის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თბილისისა და ქუთაისის გარდა ბათუმის საქალაქო სასამართლოშიც ამოქმედდება. თუ ადრე მოქმედი კანონის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ორი მუხლით - მკვლელობით დაკვალიფიცირებულ დანაშაულს განიხილავდა, ამჯერად, ნაფიც მსაჯულებს სხვა კატეგორიის - სამოხელეო დანაშაულების მოსმენაც მოუწევთ, თუ, რა თქმა უნდა, სამოქალაქო სასამართლოს" ბრალდებული გამოუცხადებს ნდობას.*



სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების მიხედვით, ყოფილ თუ მოქმედ სახელმწიფო თანამდებობის პირებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს. გარდა ამისა, გაფართოვდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოქმედების არეალი, რომელიც თბილისსა და ქუთაისთან ერთად ბათუმსაც მოიცავს.

სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე მუხლში შესული ცვლილებით,

"2014 წლის 1 ოქტომბრამდე, ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულების გარდა, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოები ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ასევე განიხილავენ შემდეგი პირების სისხლის სამართლის საქმეებს:

ა) "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლში მითითებული თანამდებობის პირისა, რომელსაც ეკავა ან უკავია შესაბამისი თანამდებობა;

ბ) პირისა, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში ამ ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირთან ერთად."

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უკვე განსაზღვრა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებზე განსჯადობის წესი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვრა ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, თეთრიწყაროს, თელავის, მცხეთის, სიღნაღის, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთისა და ხაშურის რაიონული, თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.

ქუთაისის საქალაო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიებად განისაზღვრა ამბროლაურის, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ოზურგეთის, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, ცაგერისა და ხელვაჩაურის რაიონული, ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვრა ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.

### მედია და სასამართლო

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა შემდეგი შინაარსის 182' მუხლი: სასამართლო სხდომის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქების წესი.

ცვლილების მიხედვით, სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო პროცესის აუდი-ვიდეოჩაწერა. სასამართლომ მოთხოვნისთანავე უნდა უზრუნველყოს აუდიო-ვიდეოჩანაწერის მხარეებისათვის ან სხვა პირთათვის ხელმისაწვდომობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ. თუ სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივის მიხედვით, ან სრულად დახურვის შესახებ, აუდიო-ვიდეოჩანაწერის ასლი შეიძლება გადაეცეს მხოლოდ მხარეებს. ისინი ვალდებული არიან, ხელი მოაწერონ ხელწერილს აუდიო-ვიდეოჩანაწერის გაუმჟღავნებლობაზე.

თუ ხსენებული მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს ვალდებულების შესასრულებლად ცალკეულ სასამართლოებში აუცილებელია დამატებითი ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების უზრუნველყოფა

182' მუხლის პირველი ნაწილი ამოქმედდება ამ ღონისძიებების დასრულებისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს 2013 წლის 1 ივნისისა.

ასევე, ამავე მუხლით, საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო-ვიდეო-აუდიოჩაწერა და ეთერში გადაცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ჩანაწერის მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისათვის გადაცემა მათი მოთხოვნისთანავე.

საქართველოს მთავრობას დაევალა, უზრუნველყოს სასამართლოს ვალდებულების შესასრულებლად საჭირო სახსრების საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფა და შესაბამისად, ეს ცვლილება ამოქმედდა 2013 წლის 1 მარტიდან.

გარდა ამისა, თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ სარგებლობს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით, ასეთი უფლებამოსილებით სარგებლობა შეუძლია საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელ სხვა პირს სასამართლო სხდომის დაწყების წინ საქმის განმხილველი მოსამართლისათვის წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე. თუ ასეთი განცხადება წარდგენილია ერთზე მეტი საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელის მიერ, მოსამართლე უფლებამოსილ პირს შეარჩევს წილისყრის საფუძველზე.

სასამართლოს თანხმობით, სასამართლო სხდომის ფოტოგადაღების, კინო-ვიდეოჩანწერის უფლებამოსილება აქვთ ასევე მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს, მხარეებს ან სხვა პირებს დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს (მოსამართლის) მოტივირებული განჩინებით.

სასამართლო სხდომის დარბაზში ფოტოგადაღება, კინო-ვიდეოჩაწერა და ეთერში გადაცემა უნდა განხორციელდეს სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან. სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ნებისმიერ პირს აქვს უფლება, თავისი ადგილიდან განახორციელოს სხდომის აუდიოჩაწერა. აღნიშნული მოქმედებების შესრულებისას დაუშვებელია სასამართლო სხდომის დარბაზში მოძრაობა, ხმაური, შუქის ან სხვა ისეთი ემისიების გამოყოფა, რომლებიც ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელების ნორმალურ პროცესს. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში მოსამართლეს (სასამართლოს) შეუძლია მიიღოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზომები.

თუ სასამართლო სხდომაში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ, სხდომის ფოტოგადაღება, კინო-ვიდეო-აუდიოჩაწერა და ეთერში გადაცემა უნდა განხორციელდეს ნაფიც მსაჯულთა გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე.

ნებადართულია სასამართლოს ეზოსა და შენობის დერეფანში ფოტოგადაღება, კინო-ვიდეო-აუდიოჩაწერა და ეთერში გადაცემა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეზღუდვას უსაფრთხოების ინტერესები მოითხოვს. დაუშვებელია სასამართლოს მიერ დადგენილი წესით სასამართლოს შენობაში შესული პირისათვის პირადი ნივთების, მათ შორის, მობილური ტელეფონის, კომპიუტერის, ფოტო, კინო, ვიდეო-აუდიო საშუალებების ჩამორთმევა.

### სასამართლო პროცესები და უცხოური პრაქტიკა

განვითარებულ სახელმწიფოებში ელექტრონული და ბეჭვდითი მედია საშუალებების მიერ ბრალდებულის პიროვნების მაიდენტიფიცირებელი ფოტო ან ვიდეო გამოსახულების გამოქვეყნება-გაშუქების საკითხი დარეგულირებულია სხვადასხვა კანონითა თუ მასმედიის პროფესიულ ორგანიზაციათა წესებითა და მითითებებით.

**დიდ ბრიტანეთში** სისხლის სამართლის 1925 წლის აქტი კრძალავს ეჭვმიტანილის (ან მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულისა თუ მოწმის) ფოტოს გადაღებას სასამართლო სხდომის დარბაზში, სასამართლოს შენობაში და ტერიტორიაზე, რომელზეც სასამართლოა განთავსებული და ამასთან, კრძალავს აგრეთვე ამ ნორმის დარღვევით გადაღებული ფოტოების გამოქვეყნებასაც. შესაბამისად, მედიის წარმომადგენლებს უფლება არ აქვთ გადაიღონ ეჭვმიტანილი სასამართლოში, სასამართლოში შესვლისას და იქიდან გამოსვლისას. დიდ ბრიტანეთში ასევე, მოქმედებს 1981 წლის აქტი სასამართლოს უპატივცემულობის შესახებ. ამ კანონის მიხედვით იკრძალება ეჭვმიტანილის გადაღება (და აგრეთვე, ფოტო-ვიდეო მასალის გამოქვეყნება) ისეთ გარემოებებში, რომელმაც შესაძლოა მისდამი უნდობლობა გამოიწვიოს და ამის შედეგად გართულდეს მართლმსაჯულების განხორციელება სათანადო პროცედურული ნორმების დაცვით.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა **შვეიცარიაშიც,** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კრძალავს ფოტო და ვიდეო გადაღებას სასამართლო დარბაზში და ასევე, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული სხვა პროცედურების გადაღებასაც სასამართლო დარბაზის გარეთ.

**პოლონეთის** კანონი პრესის შესახებ კრძალავს ეჭვმიტანილის სახელის, გვარისა და ფოტოების გავრცელებას ბეჭდური მედიით იმ შემთხვევის გარდა, როცა ეჭვმიტანილი აღიარებს დანაშაულს. როგორც წესი, პოლონეთის სატელევიზიო არხები ეჭვმიტანილის სახეს ფარავენ, განსაკუთრებით კი მის თვალებს. თუმცა, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, დიდი საზოგადოებრივი ინტერესის შემთხვევაში კონკრეტული საქმისადმი შესაბამისი იურისდიქციის სასამართლო ან პროკურატურა უფლებას აძლევს პრესის წარმომადგენლებს დაუფარავად აჩვენონ ეჭვმიტანილი და სახელითა და გვარით მოიხსენიონ.

**საფრანგეთის** კანონი პრესის თავისუფლების შესახებ 1881 წლის 29 ივლისს არის მიღებული. ბოლო ცვლილება მე-4 თავის მე-3 პარაგრაფში 2002 წელს შევიდა. ცვლილება ითვალისწინებს ჯარიმის დაკისრებას იმ მედია საშუალებებისათვის, რომლებიც ხელებზე ან ფეხებზე ბორკილდადებულ ეჭვმიტანილს გააშუქებენ. ამავე ოდენობის თანხით დაჯარიმებას ითვალისიწინებს ეჭვმიტანილთან გასაუბრება არასასურველ გარემოში, მისი პასუხების გამოქვეყნება და მის საზიანოდ კომენტარის გაკეთება.

**ევროპის რიგ სახელმწიფოებში** ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის ვინაობის გამჟღავნებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ისევე როგორც სასამართლო პროცესის გაშუქებას, არეგულირებს ჟურნალისტთა გაერთიანებებისა ან საბჭოების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ქცევის წესები თუ სახელმძღვანელო მითითებები, რომლებსაც მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო ძალა არ გააჩნიათ, ჟურნალისტები შეძლებისდაგვარად იცავენ. მაგალითად, **შვედეთის** ბეჭვდითი გამომცემლობების ასოციაციისა და ჟურნალისთა კავშირის ერთობლივად მიღებული ქცევის წესების კოდექსი და **დანიის** ჟურნალისტთა საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპები აფრთხილებენ ჟურნალისტებს, რომ მათ მუდმივად ახსოვდეთ უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპი და თავი შეიკავონ ეჭვმიტანილის სახელის ხსენებისგან, ფოტოებისა თუ სხვა სახის მასალების დაბეჭვდისგან, რაც ბრალდებულის იდენტიფიცირების საშუალებას მისცემს საზოგადოებას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თუ საქმე ცნობილ პიროვნებას ეხება, მისი ვინაობის დაფარვა შეუძლებელი ხდება. ასე მოხდა ნიდერლანდების სამეფოს პარლამენტის წევრის, გეერტ ვალდერსის შემთხევაში, რომელსაც ბრალი ედებოდა სიძულვილის გაღვივებაში.

განსხვავებული ვითარებაა **ამერიკის შეერთებულ შტატებში,** სადაც პოლიციის მიერ დაკავებული ეჭვმიტანილის გამოყვანა საჯარო ადგილებში, მაგალითად, სახლიდან პოლიციის განყოფილებაში, ან პოლიციიდან საპატიმროში, და ამ გზით მასმედიისთვის მისი გადაღების საშუალების მიცემა გავრცელებული პრაქტიკაა, განსაკუთრებით კი, ნიუ-იორკში. როგორც წესი, დაკავებული ამ დროს შებოჭილია ბორკილებით, ან სხვა საშუალებებითაც და შემოსილია საპატიმროს ტანსაცმელში.

როგორც წესი, პოლიცია წინასწარ უთანხმდება მედიის წარმომადგენლებს და აწვდის მათ ინფორმაციას ბრალდებულის გადაყვანის შესახებ. გადაწყვეტილებას ეჭვმიტანილის საჯაროდ გამოყვანის ან არგამოყვანის შესახებ იღებს ის ორგანო, რომელიც ანხორციელებს პირის დაკავებას. მაგრამ ეს ხდება მხოლოდ ადგილობრივ დონეზე და არა ფედერალურზე. ფედერალურ უწყებებს ეკრძალებათ ბრალდებულის გადაყვანის ან დაკავების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მედიისთვის. თუმცა, მათ უფლება არ აქვთ ფოტო-ვიდეო გადაღება აუკრძალონ ფაქტის გასაშუქებლად ადგილზე მისულ ჟურნალისტებს.

Project was prepared by „Public Initiatives Group“
Tel: 5 99 36 36 60;
Email: samartalis3@gmail.com

# ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და მედია

*ცხადია, ფაქტობრივად, ახალი ინსტიტუტის - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ, როგორც საზოგადოებას ისე ჟურნალისტებს განსაკუთრებული ინტერესი გააჩნიათ. მედიასაშუალებების წარმომადგენლებს არაერთი საინტერესო პროცესის გაშუქება მოუწევს და ალბათ, საინტერესოა, კანონმდებლობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესების გაშუქებისას რა გარკვეულ აკრძალვებს აწესებს, რომელთა ცოდნაც ჟურნალისტებისთვის სავალდებულოა.*



ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესის აღსანიშნავად გამოიყენება საერთაშორისო ტერმინი "ვორ დირე", რაც ნაფიც მსაჯულთა შერჩევას ნიშნავს. ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების შერჩევა ხდება სასამართლო დარბაზში. ჟურნალისტებს უფლება აქვთ დაესწრონ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესს და განახორციელონ მისი მონიტორინგი. თუმცა, ჟურნალისტმა არ უნდა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა იდენტიფიცირება. თუ სასამართლო სხდომაში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ, სხდომის ფოტოგადაღება, კინო-ვიდეო-აუდიოჩაწერა და ეთერში გადაცემა უნდა განხორციელდეს ნაფიც მსაჯულთა გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე.

საქმის სასამართლო პროცესზე განხილვისას ნაფიც მსაჯულებს ეკრძალებათ ვერდიქტის გამოტანამდე საქმის განხილვისას მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის გამჟღავნება ან საკუთარი აზრის გამოთქმა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით;

ნაფიც მსაჯულს ეკრძალება განსახილველ საქმესთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა ნებისმიერ პირებთან ურთიერთობა; განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება სხდომის ფარგლებს გარეთ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა, რისი გაუცემლობის შესახებაც ის ფიცს დებს.

კანონით ნაფიც მსაჯულთათვის დაწესებული აკრძალვები, ეხება მედიის წარმომადგენლებსაც. საქმის განხილვის პროცესში ნაფიცი მსაჯულისგან ინტერვიუს აღება, მისგან კომენტარის გაკეთებას ან აზრის გამოთქმა მიმდინარე საქმის დეტალების შესახებ აკრძალულია, რადგან, ნაფიც მსაჯულს ეკრძალება განსახილველ საქმესთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა ნებისმიერ პირთან, მათ შორის ჟურნალისტთან ურთიერთობა და აზრის გამოთქმა ან საქმის დეტალებზე საუბარი.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, "ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ, თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი ან გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად, აგრეთვე ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან".

ეს აკრძალვა მედიასაც ეხება, რადგან მედიით შეიძლება მსაჯულებს საქმის ირგვლივ მიეწოდოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც მათ განაწყობს ბრალდების, ან დაცვის მხარის სასარგებლოდ. შესაძლებელია, ასევე მიეწოდოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც საქმის განხილვისას დაუშვებელ მტკიცებულებად იქნებოდა ცნობილი.

უმჯობესია ჟურნალისტმა არ გამოაქვეყნოს პროცესის გარეთ მოპოვებული ინფორმაცია. ასეთი ინფორმაცია შესაძლებელია იყოს ბრალდებულის ნასამართლობა, წინასწარი გამოძიებისას ბრალის აღიარება, დაუშვებლად ცნობილი საგამოძიებო მოქმედებების შედეგები და ყველა ის ინფორმაცაია, რომელსაც პროცესზე ვერ მოისმენს ნაფიცი მსაჯული, რადგან მედიის საშუალებით ხდება საზოგადოებრივი აზრის ფორმირება იმ საქმის ირგვლივ, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე განიხილება, რაც ასევე ზეგავლენას ახდენს ნაფიც მსაჯულებზე, რომლებმაც ბრალდებულს სამართლიანი და მიუკერძოებელი ვერდიქტი უნდა გამოუტანონ.

თუმცა, ჟურნალისტს უფლება აქვს შეზღუდვების გარეშე დაესწროს პროცესს და შეუზღუდავად გააშუქოს სასამართლო სხდომაზე მიმდინარე მოვლენები.

არსებული კანონმდებლობით, თუ მასმედიით ინტენსიური გაშუქების გამო ან საქმისადმი კონკრეტული ტერიტორიის მოსახლეობის დამოკიდებულების გათვალისწინებით შეუძლებელია საქმის სამართლიანად და ობიექტურად განხილვის უზრუნველყოფა, საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით დაადგინოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადატანა ტერიტორიულად სხვა ადგილას მდებარე სასამართლოში.

თუ დანაშაულის სიმძიმიდან ან ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია საფრთხე შეექმნას ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვაგვარად არსებითად იქნეს ხელყოფილი მათი ხელშეუხებლობა, აგრეთვე, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, საქმეს განიხილავს მოსამართლე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.

აქვე აღსანიშნავია, რომ სულ ცოტა ხნის წინ, იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილების მიხედვით, აქამდე დახურული სასამართლო პროცესები გასაჯაროვდა, რის საფუძველზეც, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სასამართლოების კამერებით აღჭურვისთვის 3 550 000 ლარი გამოიყო და ეტაპობრივად მოხდება ყველა სასამართლოს აღჭურვა კამერებით.

**საერთაშორისო პრაქტიკა**

სასამართლო პროცესზე ზემოქმედების მექანიზმები განსაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ, როდესაც იხილავდა გახმაურებულ საქმეს - შეპარდი მაქსველის წინააღმდეგ.

1954 წელს დააკავეს ცნობილი ექიმი სემ შეპარდი თავისი ფეხმძიმე ცოლის - მერილინის მკვლელობის გამო. შეპარდი ამტკიცებდა, რომ მკვლელობა მისი ჩადენილი არ იყო. საქმის მიმდინარეობას ფართოდ აშუქებდა პრესა და ტელევიზია. კლივლენდის გაზეთებში ყოველდღე იწერებოდა ამ შემთხვევის შესახებ. მედიის განწყობა შეპარდის მიმართ აშკარად ნეგატიური იყო, რაც თავისთავად აისახა კიდეც მსაჯულთა ვერდიქტზე. სხდომის თავმჯდომარემ ვერ შეძლო დაეცვა მსაჯულები მედიის ზეგავლენისაგან.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. მსჯავრდებულმა განაჩენი გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. უზენაესი

სასამართლო დაეთანხმა ბრალდებულის მტკიცებას პროცესის სამართლიანობის დარღვევის შესახებ და დაადგინა მისი ხელმეორედ გასამართლება, რის შემდეგაც მას 10 წლით პატიმრობა მიესაჯა.

თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა გარკვეულ მექანიზმებზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მედიის ზეგავლენისაგან სასამართლო პროცესის დასაცავად. ასეთ მექანიზმებად სასამართლომ ჩათვალა: 1) საქმის განხილვის გადატანა სხვა ადგილას; 2) საქმის განხილვის შეჩერება; 3) ბრალდებისა და დაცვის მხარეებისათვის საქმის დეტალების გახმაურების აკრძალვა - ე.წ. **No Comment-is** წესი; 4) პოტენციური მსაჯულის წინასწარი დაკითხვა მოსამართლის ან მხარის მიერ იმის გამოსავლენად, არის თუ არა ის კვალიფიციური ან მისაღები ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესასრულებლად - **ე.წ. voire dire;** 5) მოსამართლის მითითებები ნაფიცი მსაჯულებისადმი; 6) ნაფიც მსაჯულთა ჩაკეტვა, რაც გულისხმობს პროცესის მსვლელობის განმავლობაში ნაფიც მსაჯულთა იზოლაციას საზოგადოებისაგან. სასამართლოს შენობის გარეთ ეს ხდება სასტუმროში, სადაც მათ ამარაგებენ საკვებით.

აღნიშნულ პროცედურებს იყენებენ საერთო სამართლის სხვა ქვეყნებიც, თუმცა ყველგან - არა.

მაგალითისათვის საქმის განხილვის სხვაგან გადატანა ეფექტურია იმ ქვეყნებში, რომლებიც დიდ ტერიტორიებს ფლობენ. მედიის ზემოქმედების გასანეიტრალებლად ასევე გამოიყენება მოსამართლისათვის საქმის გადაცემა ერთპიროვნული განხილვისათვის. მაგალითისათვის ასეთი მექანიზმი გამოიყენება კანადაში, თუ ბრალდებისა და დაცვის მხარეები შეთანხმდებიან ამაზე. თუმცა, აღნიშნული მექანიზმი ვერ იმოქმედებს ისეთ სახელმწიფოში, სადაც კანონი ამა თუ იმ ქმედებაზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სავალდებულო განსჯადობას ითვალისწინებს - ასეთია ავსტრალია და ახალი ზელანდია.

მედიაზე ზემოქმედების მექანიზმები ასევე განისაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს გადაწყვეტილებებში. ამ მხრივ აღსანიშნავია 1976 წელს განხილული საქმე - ნებრასკას პრესის ასოციაცია სტიუარტის წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა ერვინ ჩარლზ სიმატსის მიერ ჰენრი კელისა და მისი ოჯახის ექვსი წევრის, მათ შორის - ბავშვების, მკვლელობას. იმისათვის, რომ სასამართლოზე არ

გავრცელებულიყო პრესის მავნე ზეგავლენა, მოსამართლემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც აკრძალა ბრალდებულის მიერ პოლიციისათვის მიცემული ან სხვაგვარად გაკეთებული განცხადებების გამოქვეყნება, ასევე - იმ მტკიცებულებათა გაშუქება, რომლებიც წარდგენილი იყო საქმის წინასწარი მოსმენისას.

აღნიშნული ბრძანება გააუქმა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ და მიუთითა, რომ საქმის წინასწარი, თუნდაც ნეგატიური გაშუქება აუცილებლად არ იწვევს პროცესის უსამართლობას." სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაციის გამოქვეყნების აკრძალვა უნდა გამოიყენებოდეს ყველაზე უკიდურეს საშუალებად - მას შემდეგ, რაც ამოიწურება სხვა, ტრადიციული მექანიზმები. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მედიას შეეძლო თავისუფლად გაეშუქებინა ყველაფერი, რაც მოხდა სასამართლოს ღია სხდომაზე.

ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, ინგლისში 1981 წელს გამოცემული კანონის თანახმად, რომელიც სასამართლოს უპატივცემულობას ეხება, მედიას შესაძლოა, აეკრძალოს და მის წინააღმდეგ აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ იგი გამოაქვეყნებს საქმის განხილვაზე ზეგავლენის მომხდენ მასალებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუამდგომლობის შემტანმა მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ მასალების გამოქვეყნებით შეიქმნა უარყოფითი ზეგავლენის მოხდენის არსებითი საფრთხე.

შოტლანდიაში ამ კანონის მოქმედება კიდევ უფრო მკაცრია, ვინაიდან სასამართლოები არსებით საფრთხეს მიიჩნევენ, როგორც მინიმალურზე მეტ საფრთხეს. ამის გამო პრესა მეტისმეტ სიფრთხილეს იჩენს ნაფიც მსაჯულთა პროცესის გაშუქებისას. პროცესის სამართლიანობიდან გამომდინარე, მედიაზე აკრძალვების დაწესების მექანიზმებს ასევე იყენებენ ავსტრალია, ახალი ზელანდია და ირლანდია.

# უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თანამშრომლობის ჯგუფს შეხვედა

*უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის წევრებთან მეორე შეხვედრა გამართა. შეხვედრას დაესწრნენ სამეცნიერო წრეების, საქართველოში მოქმედი ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფო უწყებების, საქართველოს მოსამართლეთა კორპუსისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები.*

თანამშრომლობის ჯგუფის საქმიანობის მიზანი გახლავთ სასამართლო სისტემის რეფორმის პროცესში საზოგადოებრივი ჯგუფების უშუალო ჩართულობის უზრუნველყოფა.

სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულება იქნება არსებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე დისკუსიების გამართვა, რის შემდეგაც კიდევ უფრო დაიხვეწება სასამართლო პრაქტიკა და გაიზრდება გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხი.

შეხვედრის მონაწილეთა ინიციატივით შეიქმნა სპეციალური დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს ჯგუფის სამომავლო მუშაობას. აღნიშნულ შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა სწორედ ამ დოკუმენტზე იმსჯელეს და ასევე, განსაზღვრეს მომავალი შეხვედრის თემატიკაც.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი მედიის წარმომადგენლებსაც შეხვდა და ბოლო დროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ იმ ცვლილებებზე ესაუბრა, რომლითაც განისაზღვრა სასამართლო პროცესების მედიის მიერ გაშუქების წესი.

კონსტანტინე კუბლაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრის დასაწყისში აღნიშნა, რომ აღნიშნული წესი ამოქმედდება საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მედიის წარმომადგენლებს დაწვრილებით განუმარტა ის წესები, რომელიც განსაზღვრავს, როგორც სასამართლოს ვალდებულებას უზრუნველყოს პროცესის აუდიო-ვიდეოჩაწერა, ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე სხვა ტელევიზიების უფლება-მოვალეობები პროცესის გადაღებებთან დაკავშირებით.

პროექტს ახორციელებს
"საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com

# პროფკავშირები საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა პროტესტს მხარს უჭერს

მერი ნამორაძე

პროფკავშირების გაერთიანება ერთობ შეწუხებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა უფლებების დარღვევით და მათ დასაცავად საზოგადოებას გააქტიურებისკენ მოუწოდებს. პროფკავშირები აცხადებს, რომ საზოგადოებამ ბორდის დასათხოვნად ყველა კანონიერი გზა უნდა გამოიყენოს და დაიცვას საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა უფლებები, რომლებზეც ჯერ კიდევ მოქმედ ბორდს არასდროს უზრუნია. ამის შესახებ პროფკავშირების გაერთიანების განცხადებაშია ნათქვამი, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ თანამშრომლების პროტესტს, რომლებიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდს უნდობლობას უცხადებენ და მათთან ერთად მოვითხოვთ უზრუნველყოფილ იქნას მათი მშვიდ გარემოში მუშაობა, მიეცეთ მათ კომპეტენციების სრულად გამოვლენის შესაძლებლობა და შემოქმედებითი თავისუფლება. მიგვაჩნია, რომ განვითარებული სიტუაციით არ უნდა დაზარალდნენ თანამშრომლები და მათი შრომითი უფლებები ბოლომდე უნდა იყოს დაცული“.

პროფკავშირები მოელოდა, რომ მოვლენების განვითარება საზოგადოებრივ მაუწყებელში ამ კონდიციამდე მიაღწევდა და თავიდანვე აპროტესტებდა ბორდის შექმნას იმ მეთოდებით და იმ ინტერესების გათვალისწინებით, როგორც იქმნებოდა შრომის კოდექსი, ტარდებოდა ჯანდაცვის, განათლების რეფორმები.

„ბორდის შემადგენლობას წყვეტდა ერთი ადამიანი, ზუსტად ისე, როგორც წყვეტდა, თუნდაც იმას, ვინ რა სამოსში უნდა გამოსულიყო კონცერტზე. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის დაკომპლექტებისას, ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელს, ვინც არსებული ბორდის წევრებზე მეტად გამოხატავს საზოგადოების ინტერესებს, მათ შორის პროფკავშირების გაერთიანების წარმომადგენლებს, სურვილის მიუხედავად, არ მიეცათ უფლება ყოფილიყვნენ ამ სტრუქტურაში და აქტიურად ჩართულიყვნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობაში, როგორც თანამშრომელთა სოციალური გარანტი, რომელიც ქვეყანაში დასაქმებულთა უფლებების გამოხატვაზე იზრუნებდა. მათ ნაცვლად ბორდის წევრებად ჩვენ ისეთი ანგაჟირებული ადამიანები მოგვევლინენ, როგორებიც თუნდაც გიგა ნასარიძე და გიორგი მელაძე არიან. ისინი კონკრეტული ადამიანის და პარტიის აზრს გამოხატავენ და იდეოლოგიას ატარებენ და არა საზოგადოების“, – აღნიშნულია განცხადებაში.

დასაქმებულების ინტერესებიდან გამომდინარე, პროფკავშირი მოუწოდებს საზოგადოებას, ყველა კანონიერ გზას მიმართოს ბორდის დასათხოვნად. ამასთან, მიაჩნიათ, რომ ეს საკითხიც პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ თანამშრომელთა ერთობა ამას შეძლებს.

„მოვუწოდებთ საზოგადოებას, დღესვე დაიწყოს ფიქრი ისეთი საზოგადოებრივი მაუწყებლის ჩამოყალიბებაზე, რომელიც რეალურად გამოხატავს საზოგადოების ინტერესებს და მაუწყებლის ყურადღებას შეაჩერებს იმ პრიორიტეტებზე, რაც საზოგადოებას გააჩნია“, – ნათქვამია განცხადებაში.

# მთავარმა ბიბლიოთეკამ თანამშრომლები დაასაჩუქრა

მერი ნამორაძე

ყავა, ჩაი, ნამცხვარი და ტკბილეული წიგნებთან ერთად! თუ პოეზიის საღამოების გამართვა შეიძლება მსუყე ვახშამთან ერთად და მსმენელს ვეღარ იტევს დარბაზი, ბიბლიოთეკებსაც გაცილებით მიმზიდველს გახდიდა ყავა, ჩაი თუ ნამცხვარი. ეს იდეა კარგა ხანია თბილისის მთავარ ბიბლიოთეკას აქვს, მაგრამ განხორციელება იოლი არ აღმოჩნდა.

გუშინ თბილისის მთავარმა ბიბლიოთეკამ მრავალშვილიან თანამშრომლებს საგანგებო შეხვედრა მოუწყო და საჩუქრები გადასცა. დაუფასებელ პროფესიას და პროფესიონალებს ისევ თავად თუ დააფასებენ და თანამშრომლებს წაახალისებენ, თორემ ბიბლიოთეკარების ბედით დიდად სხვა არ ინტერესდება. სწორედ მერიის ბიბლიოთეკამ გენერალური დირექტორის, ციალა კალმახელიძის ინიციატივით უზრუნველყო უბინაო, მარტოხელა ბიბლიოთეკარები „ბიბლიოთეკართა სახლით“.

როგორც ციალა კალმახელიძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, დღეისათვის თბილისში 43 ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს. წიგნადი ფონდი ძირითადად შენარჩუნებულია და განახლებაც მუდმივად მიმდინარეობს.

***– ქალბატონო ციალა, მკითხველს ხომ არ კარგავს დღევანდელი ბიბლიოთეკა, კომპიუტერი ხომ არ გართმევთ მას?***

– მკითხველი უფრო მეტია, ვიდრე იყო. არაფერი წაურთმევია კომპიუტერს. კომპიუტერიც გვაქვს და წიგნიც, მაგრამ კომპიუტერით წიგნს არავინ კითხულობს. ახლა ელექტრონული წიგნებიც გამოვა და შეიძლება ჩვენც შევიძინოთ.

***– წიგნადი ფონდის განახლება რა სიხშირით ხერხდება?***

– ვყიდულობთ მერიის დახმარებით. ყოველწლიურად 80 ათასი წიგნის შეძენა ხდება. პრესაც გვაქვს, ჟურნალ-გაზეთებით უზრუნველყოფილია ჩვენი მკითხველი.

***– სიახლეს თუ შესთავაზებთ მკითხველს უახლოეს მომავალში, რამდენადაც მახსოვს, კაფის სტილში აპირებდით ბიბლიოთეკის რამდენიმე ფილიალის მოწყობას?***

– ვაპირებდით, მაგრამ ცოტა ძნელია. საგადასახადო სამსახურიც ერევა იქ და ვნახოთ, სამომავლოდ რა იქნება. ჯერ ზღაპრის სახლზე ვართ გადართულნი. ბათუმის ბიბლიოთეკაში ვაპირებთ ზღაპრის სასახლის გაკეთებას, ისეთის, როგორიც ჩვენთან თბილისშია. მეზღაპრე ქეთი დოლიძე გვიკეთებს. იმდენად მოსწონს მას ჩვენთან ყოფნა, გადაწყვიტა ზღაპრის სასახლე მოაწყოს ბავშვებისთვის ბათუმის ბიბლიოთეკაში.

***– ბიბლიოთეკარების სახლი განაგრძობს არსებობას?***

– დიახ, უკვე 15 წელია არსებობს ეს სახლი. ძალიან კარგად გრძნობენ ქალბატონები თავს, კარგი პირობები აქვთ შექმნილი. 14 ქალბატონი ცხოვრობს იქ. ორი მწოლიარე გვყავს. ნაწილი კი იქვე მუშაობს მეორე სართულზე, ბიბლიოთეკაში. მრავალშვილიანი დედები საჩუქრებით წავახალისეთ დედის დღესთან დაკავშირებით. რითიც შეგვიძლია, თანამშრომლებს ვეხმარებით.

# ჩეხეთის სენატმა პრეზიდენტის იმპიჩმენტს მხარი დაუჭირა

ჩეხეთის სენატმა მხარი დაუჭირა ქვეყნის პრეზიდენტის, ვაცლავ კლაუსის იმპიჩმენტს, რომელსაც საპრეზიდენტო ვადა ოფიციალურად 7 მარტს ეწურება. ამის შესახებ „ესოშიეითედ პრესი“ იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა უმაღლესი პალატის 38-მა წევრმა, 30 კი წინააღმდეგი იყო. სენატი ყოფილ პრეზიდენტს სახელმწიფო ღალატში ადანაშაულებს. სენატმა ასევე კონსტიტუციურ სასამართლოს მიმართა თხოვნით, დაადგინოს, დაარღვია თუ არა ვაცლავ კლასუმა კონსტიტუცია 1 იანვარს 6 ათასი პატიმრის შეწყალებით. საყოველთაო ამნისტიის შედეგად, ჩეხეთის ციხეები სხვა პატიმრებთან ერთად დატოვეს მაღალჩინოსნებმაც, რომლებიც თაღლითობის ბრალდებით იყვნენ დაპატიმრებულნი.

კერძოდ, ამნისტიით შეწყდა ფინანსურ დანაშაულობებთან დაკავშირებული რეზონანსული საქმეები. მათ შორის ბიზნესმენ ტომას პიტრასა და ჩეხეთ-მორავიის საფეხბურთო ფედერაციის ყოფილი თავკაცის ფრანტიშეკ ხვალოვსკის საქმეები. პირველი გადასახადების თავის არიდებაში, მეორეს კი 11 მილიონი ფუნტ სტერლინგის მითვისებაში იყო ეჭვმიტანილი.

თუ კლაუსს სასამართლო დამნაშავედ სცნობს, მას საპრეზიდენტო პენსიის დაკარგვა ემუქრება.

თუმცა, სენატის გადაწყვეტილებას „ისტერიულს“ უწოდებს ჩეხეთის ახალარჩეული პრეზიდენტი, მილოშ ზემანი და აცხადებს, რომ „პარლამენტს თავის დროზე უნდა ეზრუნა ამნისტიის კანონის გადადებაზე“.

ვაცლავ კლაუსი (დ. 19 ივნისი, 1941) – ჩეხეთის რესპუბლიკის მეორე პრეზიდენტი (2003 წლიდან, ხელმეორედ აირჩიეს 2008 წელს) და ყოფილი პრემიერ-მინისტრი (1992-1997). განათლებით ეკონომისტი; წამყვანი მემარჯვენე სამოქალაქო დემოკრატიული პარტიის თანადამფუძნებელი. ცნობილია, როგორც ევროსკეპტიკოსი, მეტსახელად „ცენტრალური ევროპის მარგარეტ ტეტჩერი“ და ლისაბონის ტრაქტატის მოწინააღმდეგე.

**გ. მ.**

# სერგეი მაგნიტსკის სასამართლო პროცესი 11 მარტს დაინიშნა

მოსკოვის ტვერის სასამართლომ გარდაცვლილი იურისტის სერგეი მაგნიტსკის საქმის განხილვა 11 მარტს დანიშნა. „სხდომა 11 მარტს 11 საათზე გაიმართება“, – განუცხადა „რია ნოვოსტის“ სასამართლოს პრესმდივანმა ალექსანდრა ბერეზინამ. სასამართლო პროცესის გამართვას პროკურები ამ საქმესთან დაკავშირებული მაღალი ინტერესის გამო ხსნიან. მაგნიტსკის ადვოკატები და ოჯახის წევრები პროცესში მონაწილეობაზე უარს აცხადებენ.

მაგნიტსკის დედამ ამ სასამართლოს „ამორალური და უკანონო“ უწოდა. მისი თქმით, ამ პროცესის მიზანია, მისი ვაჟის, რომელმაც მსხვილი კორუფციული სქემა გამოავლინა, თავად დამნაშავედ ცნობა. თავის მხრივ, აშშ-ის ხელისუფლება მაგნიტსკის სიას მარტში გამოაქვეყნებს. ამის შესახებ რუსეთში აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელმა ჰოვარდ სოლომონმა განაცხადა.

„როგორც ამას კანონი ითვალისწინებს, გამოქვეყნდება იმ ადამიანების სია, რომლებიც ამ კატეგორიაში შედიან და რომლებსაც ამავე კანონის საფუძველზე აშშ-ის ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალებათ“, – განაცხადა დიპლომატმა.

აშშ-ის კანონმდებლობის მიხედვით, ქვეყნის პრეზიდენტს აქვს უფლება სია გაასაიდუმლოს. შეგახსენებთ, რომ 2012 წლის დეკემბერში აშშ-ში „მაგნიტსკის აქტი“ მიიღეს. აქტი აწესებს სანქციებს რუსეთის იმ მოქალაქებისადმი, რომლებსაც აშშ-ს ხელისუფლება ადამიანის უფლებათა დამრღვევებად მიიჩნევს.

სანქციები ითვალისწინებს ვიზებზე უარის თქმას და ასევე ფინანსურ სანქციებს იმ რუსი ჩინოვნიკების მიმართ, რომლებიც, როგორც ვაშინგტონში მიიჩნევენ, თანამონაწილენი არიან იურისტ სერგეი მაგნიტსკის გარდაცვალებაში.

აღნიშნულ კანონპროექტს აშშ-ს სენატში 94 სენატორმა დაუჭირა მხარი და მხოლოდ 4 იყო წინააღმდეგი. იმისათვის, რომ ეს კანონი ძალაში შევიდეს აუცილებელია, რომ მას აშშ-ს პრეზიდენტმა მოაწეროს ხელი.

**გ. მ.**

## SMS-განცხადებები – 3090

● ვყიდი მუხრან-თელეთში ახალაშენებულ (გასაკეთებელია სველი წერტილი) 276 კვ. მეტრის საცხოვრებელ სახლს, მონტერეის გადახურვით, მეტ. პლასტმასის კარფანჯრებით, რკინის ჟალუზებით, საკ. წყლით, ბუნებრივი აირით, 600კვ.მ მიწის ნაკვეთით. სხლი მდებარეობს თბილისიდან 22კმ-ში. ფასი 30000 დოლარი. 15000 დოლარი ხელზე და 15000 დოლარი განვადებით. ტელ.: 577424122. 599722748. გია.

## განცხადებები

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიზრონაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# ფაჩულია ისვენებს, შენგელია ქვედა ლიგაში ჩაუქრობს

ფეხის ტრავმის გამო, ზაზა ფაჩულიამ მორიგი მატჩი გამოტოვა. „ატლანტა ჰოუქსმა" გასვლითი 6-მატჩიანი ტურნე მარცხით დაასრულა. შედეგად, ამ მოგზაურობიდან ატლანტელებს 3-3 მოგებ-წაგება შერჩათ, რაც არც ცუდი შედეგია და არც კარგი.

გასვლითი ტურნის ბოლო მატჩი „ქორებმა" დასავლეთის ერთ-ერთ მძლავრ წარმომადგენელ „დენვერთან" გამართეს და 88:104 დამარცხდნენ. ატლანტელთაგან 18 ქულით და 13 მოხსნით ალ ჰორფორდი გამოირჩა, რომელმაც ფაჩულიას არყოფნაში მოედანზე 34 წუთი გაატარა.

შენგელიასთან ერთად „სპრინგფილდ არმორი" ძლიერი და ნებისმიერი მეტოქისთვის სახიფათოა, მის გარეშე კი – ჩვეულებრივი აუტსაიდერი. ქართველმა ფორვარდმა დივიზიონში ბოლო ადგილზე მყოფ სპრინგფილდელებს ერთ-ერთი ფავორიტი „ერი ბეიჰოქსი" დაამარცხებინა. წინა მატჩში კი, 2 დღის წინ „არმორი" მხოლოდ ერთი ქულით დამარცხდა დივიზიონის ლიდერ „ფორტ ვეინთან".

ამჯერად შენგელიას შედეგიანი თამასის წყალობით „სპრინგფილდ არმორმა" „ერი ბეიჰოუქსი" 130:112 დაამარცხა. შენგელიამ 32 წუთი ითამაშა, რა დროშიც 14-დან 9 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი და 9-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. ამ ყველაფერმა ჯამში 26 ქულა შეადგინა, რასაც თორნიკემ 6 შედეგიანი პასი, 2 მოხსნა, 2 აჭრა და 1 დაფარება მოაყოლა. ამ შედეგით შენგელია სპრინგფილდელთაგან საუკეთესო იყო. 21 ქულა და 7 მოხსნა ჰქონდა კლის ჯოზეფს, ხოლო 20 ქულით დაასრულა შეხვედრა რეიმონ მურმა.

მომდევნო მატჩს „სპრინგფილდი" 8 მარტს კვლავ „ერი ბეიჰოქსთან" ჩაატარებს, თუმცა შენგელია, თუ „არმორში" ყოფნა არ გაუგრძელეს, ამ დროისთვის უკვე „ბრუკლინ ნეთსში" იქნება. ქართველი ფორვარდი ოფიციალურად 1 კვირითაა გაშვებული დ ლიგაში.

# დელ პიერო ტოტის გაჩერებას არ ურჩევს



„იუვენტუსის" ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ალესანდრო დელ პიერომ, რომელიც ამჟამად საფეხბურთო კლუბ „სიდნეის" ღირსებას იცავს, თავის მეგობარსა და კოლეგას ფრანჩესკო ტოტის 225-ე გოლის გატანა მიულოცა. იტალიის ჩემპიონატის 27-ე ტურის მატჩში „რომამ" „ჯენოას" უმასპინძლა და 3:1 დაამარცხა, სწორედ ამ მატჩში გაიტანა თავისი ბურთი „იმპერატორმა".

– 225 გოლი – ეს ჩინებული შედეგია, რომელსაც დიდებულმა ფეხბურთელმა მიაღწია. ყოჩაღ, ფრანჩესკო, ასე გააგრძელე, – ეს სიტყვები დელ პიერომ „ტვიტერზე" გამოიქვეყნა.

შეგახსენებთ, რომ სერია ა-ს საუკეთესო ბომბარდირი სტეფანო პიოლაა, რომლის ანგარიშზეც 274 გოლია. თავად ალესანდროს კი სერია ა-ს მეკარეები 188-ჯერ ჰყავს გამწარებული.

# ლივერპული ვალებშია

2011 წლის პირველი აგვისტოდან 2012 წლის 31 მაისის ჩათვლით, ინგლისის „ლივერპულის" საკრედიტო დავალიანებამ 21, 8 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა. მერსისაიდული კლუბის დავალიანების საერთო ციფრი კი 87 მილიონს აღემატება, რაც სტადიონის რესტრუქტურიზაციისათვის დაუგეგმავი ხარჯების გაღებას უკავშირდება.

– მიუხედავად ყველაფრისა, ბოლო თვეების მანძილზე, ჩვენ გარკვეულ პროგრესს მივაღწიეთ და ფინანსური სიტუაციაც მეტ-ნაკლებად დარეგულირდა. მართალია, ჩვენ ევროსარბიელზე არ გვითამაშია, თუმცა წარმატებით ვიასპარეზეთ შიდა ტურნირებზე, რამაც გარკვეული შემოსავლები მოგვიტანა. რაც მთავარია, გვყავს ახალი კომერციული პარტნიორები, – განაცხადა „ლივერპულის" მენეჯმენტის დირექტორმა იან აირმა, რომელმაც გულშემატკივრებს სიმშვიდისკენ მოუწოდა.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ასტონ ვილა-სიტი ........................ 0:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 28 | 23 | 2 | 3 | 68:31 | 71 |
| 2.სიტი | 28 | 17 | 8 | 3 | 51:24 | 59 |
| 3.ტოტენჰემი | 28 | 16 | 6 | 6 | 49:33 | 54 |
| 4.ჩელსი | 28 | 15 | 7 | 6 | 56:30 | 52 |
| 5.არსენალი | 28 | 13 | 8 | 7 | 53:32 | 47 |
| 6.ევერტონი | 28 | 11 | 12 | 5 | 44:35 | 45 |
| 7.ლივერპული | 28 | 11 | 9 | 8 | 53:34 | 42 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 28 | 12 | 4 | 12 | 38:37 | 40 |
| 9.სუონსი | 28 | 10 | 10 | 8 | 39:34 | 40 |
| 10.ფულემი | 28 | 8 | 9 | 11 | 39:44 | 33 |
| 11.სტოკი | 28 | 7 | 12 | 9 | 26:33 | 33 |
| 12.ვესტ ჰემი | 28 | 9 | 6 | 13 | 32:41 | 33 |
| 13.ნორვიჩი | 28 | 7 | 11 | 10 | 27:45 | 32 |
| 14.სანდერლენდი | 28 | 7 | 9 | 12 | 31:38 | 30 |
| 15.ნიუკასლი | 28 | 8 | 6 | 14 | 38:49 | 30 |
| 16.საუთჰემპტონი | 28 | 6 | 9 | 13 | 39:51 | 27 |
| 17.უიგანი | 28 | 6 | 6 | 16 | 33:55 | 24 |
| 18.ასტონ ვილა | 28 | 5 | 9 | 14 | 26:53 | 24 |
| 19.რედინგი | 28 | 5 | 8 | 15 | 34:54 | 23 |
| 20.ქპრ | 28 | 3 | 11 | 14 | 21:44 | 20 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სევილია-სელტა ........................ 4:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 26 | 22 | 2 | 2 | 83:30 | 68 |
| 2.ატლეტიკო | 26 | 18 | 3 | 5 | 48:23 | 57 |
| 3.რეალი | 26 | 17 | 4 | 5 | 64:24 | 55 |
| 4.მალაგა | 26 | 12 | 7 | 7 | 35:24 | 43 |
| 5.ვალენსია | 26 | 12 | 6 | 8 | 38:39 | 42 |
| 6.სოსიედადი | 26 | 10 | 8 | 7 | 44:34 | 41 |
| 7.ბეტისი | 26 | 12 | 4 | 10 | 37:38 | 40 |
| 8.ხეტაფე | 26 | 11 | 5 | 10 | 39:42 | 38 |
| 9.რაიო | 26 | 12 | 2 | 12 | 34:43 | 38 |
| 10.სევილია | 25 | 10 | 5 | 11 | 38:38 | 35 |
| 11.ლევანტე | 26 | 10 | 5 | 11 | 32:40 | 35 |
| 12.ვალიადოლიდი | 26 | 9 | 7 | 10 | 34:33 | 34 |
| 13.ესპანიოლი | 26 | 8 | 8 | 10 | 31:35 | 32 |
| 14.ბილბაო | 26 | 8 | 5 | 13 | 31:49 | 29 |
| 15.ოსასუნა | 26 | 6 | 7 | 12 | 22:28 | 28 |
| 16.გრანადა | 26 | 7 | 5 | 14 | 25:38 | 26 |
| 17.სარაგოსა | 26 | 7 | 4 | 15 | 24:38 | 25 |
| 18.მალიორკა | 26 | 5 | 6 | 15 | 26:49 | 21 |
| 19.სელტა | 26 | 6 | 5 | 15 | 25:36 | 20 |
| 20.დეპორტივო | 26 | 3 | 8 | 15 | 29:56 | 17 |

### იტალია. სერია ბ

ვეჩენცა-ბარი ........................ 0:1
ვერონა-პადოვა ........................ 0:2

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დუისბურგი-ბრაუნშვაიგი ............ 1:0

### საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-ნანტი ........................ 1:2

### ჰოლანდია. 1 დივიზიონი

დენ ბოსხი-ვოლენდამი ................ 1:1
კამბური-ვეენდამი ........................ 1:3
სიტარდი-ალმერე ........................ 1:0
ემენი-ექსელსიორი ........................ 3:1

### პორტუგალია. ა ლიგა

გიმარაეში-აკადემიკა ................... 2:0
ოლჰანენსე-ბრაგა ........................ 0:1

### საბერძნეთი. სუპერლიგა

ვერია-არისი ........................ 3:1

### თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-ტრაბზონი.................... 2:0

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

სლოვაცკო-დუკლა ........................ 0:0

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

ვისლა-პოდბესკიჟიე ..................... 0:0

### დანია. სუპერლიგა

ესბიერგი-ორხუსი ........................ 2:1

ორხუსელთა გოლი მათე ვაწაძემ გაიტანა

### არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

ველეჟი-სან მარტინი ..................... 3:0

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული სეზონი

კლივლენდი-ნიუ იორკი .......... 97:102
მინესოტა-მაიამი ........................ 81:97
პორტლენდი-შარლოტი ........ 122:105
დენვერი-ატლანტა ................... 104:88
ნიუ ორლეანი-ორლანდო ...... 102:105
მილუოკი-იუტა ............... 109:108(ოტ)
გოლდენ სტეიტი-ტორონტო 125:118

## ჰოკეი

### ნჰლ. რეგულარული სეზონი

ტორონტო-ნიუ ჯერსი ................... 4:2
პიტსბურგი-ტამპა ბეი ................... 4:3
ფინიქსი-ანაჰაიმი .................. 4:4(1:0ბ)
ლოს ანჯელესი-ნეშვილი ............. 5:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# დევიდ ბექჰემი: „ჩემი შვილი „არსენალის" ქომაგია, მაგრამ ეს როგორ?!"



დევიდ ბექჰემი „პარის სენ ჟერ მენში" სულ ცოტა ხნის გადასულია და ცნობილმა და ავტორიტეტულმა გამოცემა „ეკიპმა" ინგლისელს საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა.

*– თქვენ ყოველთვის ასეთ ატმოსფეროში ცხოვრობთ თუ დღესაა განსაკუთრებული დღე?*

– რა თქმა უნდა, ეს მოვლენა სხვებთან შედარებით განსაკუთრებულია – ბოლოს და ბოლოს, თვით „ზიზუმ" მითხრა, კეთილი იყოს შენი მობრძანებაო, რაზეც ადრე ვერც კი ვიოცნებებდი.

*– რთულია, იყო დევიდ ბექჰემი?*

– სხვათა შორის, არა! ყოველთვის ვცდილობ ვიყო ის, რაც ვარ.

*– 37 წლის ხართ, მაგრამ ფეხბურთს კვლავაც თამაშობთ. როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" ვეტერანები ამდენი ხანი ხართ მოედანზე?*

– ფეხბურთის სიყვარული, გამარჯვების წყურვილი, ჯანმრთელობა და კარგი ფორმა. 90-იან წლებში „იუნაიტედის" შემადგენლობაში ასპარეზობა მე, გარი ნევილმა, ნიკი ბატმა, პოლ სქოულზმა, რაიან გიგზმა დავიწყეთ და მე, პოლი და რაიანი ისევ ფორმაში ვართ. ვფიქრობ, ეს სერ ალექს ფერგიუსონის დამსახურებაა, რომელმაც თავის დროზე სწორ გზაზე დაგვაყენა და ყველაფერი გვასწავლა.

*– თქვენ შორის რომელი დაასრულებს კარიერას ბოლოს?*

– სავარაუდოდ, რაიან გიგზი. ის ნამდვილი სასწაულია. რაიანი ისევ ისეთ მაღალ დონეს აჩვენებს და ისევ ისეთი უმაღლესი კლასის პატრონია, თუმცა შესაძლოა, ასეთი მეც ვიყო.

*– შესაძლოა, ამდენი ხანი იმიტომ თამაშობთ, რომ გინდათ, თქვენმა შვილებმა დაგიმახსოვრონ, როგორც დევიდ ბექჰემი ფეხბურთელი.*

– სიმართლე გითხრათ, ეს მთლად ასეც არ არის, რადგან ჩემი კარიერით სიამოვნებას ვიღებ, მაგრამ მიხარია, რომ ბავშვებმა უკვე დაინახეს ჩემში კარგი საფეხბურთო ცხოვრება და მომავალშიც ასე იქნება.

*– საინტერესოა თქვენი „ემირეიტ სთედიუმზე" ხილვა, სადაც „არსენალის" თამაშებს ქომაგის როლში ეწვევით ხოლმე.*

– გულის სიღრმეში მე ასეთიც ვარ, რადგან მშობლიური ფეხბურთი ყველაზე მეტად მიყვარს. ორი ჩემი შვილი „მანჩესტერის" ფანია, ერთი კი – „არსენალს" ქომაგობს, მაგრამ ეს როგორ მოხდა, არ ვიცი. ერთ-ერთი ჩემი შვილი კი „ჩელსიში" ვარჯიშობს და ვნახოთ, მისგან რა დადგება.

*– ისინი პსჟ-ს უქომაგებენ?*

– ისინი ყოველთვის ქომაგობენ იმ გუნდს, სადაც მე ვთამაშობ და ასეთი ახლა სწორედ პარიზული გრანდია.

*– უმეტესობა გუნდში თქვენ მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდით, კარლო ანჩელოტიმ კი ცენტრში გადაგწიათ. ხომ არ ფიქრობთ, რომ შეგიძლიათ ისევ მარჯვნივ ასპარეზობა?*

– დიახ, ამ პოზიციაზე ხომ წლობით ვთამაშობდი! მაგრამ ახლა ლუკას მოურასნაირი სისწრაფე მაკლია, თორემ აუცილებლად გავუწევდი კონკურენციას.

*– ოთხშაბათს „მარსელის" წინააღმდეგ გამართულ მატჩში თქვენ სწორედ ცენტრში იდექით და თამაშს აკონტროლებდით.*

– დიახ, ასეთი დავალება კარლომ მომცა – მე გუნდისთვის სარგებლის მოტანა მინდა და ამისათვის ყველაფერს ვაკეთებ.

*– თქვენ ფიზიკურად იმდენის გაკეთება შეგიძლიათ, რამდენსაც მაგალითად, პაბლო ვერატი და ბლეზ მატუიდი აკეთებენ?*

– რა თქმა უნდა, არა, რადგან ისინი ჩემზე ახალგაზრდები არიან, მაგრამ მომწონს ის სტილი, რომელიც „მარსელთან" გამოვიყენეთ. მატუიდი საჯარიმოსკენ საკმაოდ სწრაფად შემორბოდა და ისეთი სტილის ფეხბურთელისთვის, როგორიც მე ვარ, მასთან კომბინაციის გათამაშება საკმაოდ სასიამოვნოა.

*– ხომ არ ნანობთ, რომ პსჟ-სთან ექვსთვიან ხელშეკრულებას მოაწერეთ ხელი?*

– არანაირად. პსჟ დიდი გუნდია, რომელსაც ნამდვილად დიდი მომავალი აქვს წინ და აქ ყველა ფეხბურთით ცხოვრობს, რაც ძალიან მახარებს.

*– პსჟ-დან ყველაზე მეტად რომელი ფეხბურთელის თამაშით ხართ აღფრთოვანებული?*

– ჩემი გრძელი კარიერის მანძილზე ზლატან იბრაჰიმოვიჩისნაირი პროფესიონალს ნამდვილად ძალზე ცოტას შევხვედრილვარ. ზლატანი ყოველთვის მოგების წყურვილითაა ანთებული, ის, უბრალოდ, ფეხბურთით ცხოვრობს. წაგების შემდეგ კი, მის სახეზე ნამდვილ სიბრაზეს ამოიკითხავ, ეს კი ჩემში აღფრთოვანებას იწვევს.

*– ჩემპიონთა ლიგა „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში 14 წლის წინ მოიგეთ. იგივეს გამეორება ხომ არ გინდათ ფრანგებთან ერთად?*

– მე გამიმართლა, რომ ოდესღაც ჩემპიონთა ლიგა მაქვს მოგებული, რომლის მოგებაც ძალზე რთული და ამავე დროს, უდიდესი მიღწევაა. როდესაც ლიგის თასს თავს ზემოთ აწევ, უკვე უნდა ჩათვალო, რომ დიდ რამეს მიაღწიე. ახლა ნამდვილად არ მინდა ახალ ტრიუმფზე ლაპარაკი, რადგან ამისგან ჯერ შორს ვართ, თუმცა შვიდწლიანი პაუზის შემდეგ, ისევ ლიგაზე თამაში ნამდვილად ძვირფასი რამაა.

*– ფინალში ისურვებდით „მანჩესტერთან" შეხვედრას?*

– ვინ იცის...

# სპორტსმენები, რომლებმაც კიბო დაამარცხეს

**სიმსივნე ის დაავადებაა, რომელსაც მთელი მსოფლიო ებრძვის და მისი დამარცხება დღემდე ვერ შეძლეს. თუმცა, არიან ადამიანები, რომლებმაც მის წინააღმდეგ ბრძოლა მოახერხეს და თავს შესანიშნავად გრძნობენ. თუ რის ხარჯზე მოხერხდა ეს, ამის თაობაზე მედიცინა ბევრს ვერაფერს გვეუბნება, მაგრამ ფაქტი სახეზეა.**

**სიმსივნისთვის წინააღმდეგობის გაწევას ძირითადად სპორტსმენები ახერხებენ და, სავარაუდოდ, ეს მათი ჯანსაღი ცხოვრების წესის „ბრალია".**

**ერიკ აბიდალი**

ორი წლის წინ, „ბარსელონას" მცველს სიმსივნური დაავადება აღმოუჩინეს. ფეხბურთელს ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ დაავადებამ ისევ იჩინა თავი. 2012 წლის აპრილში აბიდალს ღვიძლი გადაუნერგეს, გამოჯანმრთელების შემდეგ, იგი ვარჯიშს შეუდგა და ახლა მზად არის მოედანს დაუბრუნდეს.

**ლენს ამსტრონგი**

1996 წელს ცნობილ ველომრბოლელს ექიმებმა რთული დიაგნოზი დაუსვეს, მას მძიმე ფორმის კიბო აღმოაჩნდა. მკურნალობის შემდეგ, ამსტრონგმა შეძლო დაბრუნება და მოიგო უამრავი პრიზი. თუმცა, ცოტა ხნის წინ იძულებული გახდა ისევ მიეტოვებინა, ამჯერად სხვა მიზეზით – ის აკრძალული პრეპარატების ხმარებაში ამხილეს.

**ჯეფ ჰორსფილდი**

ინგლისელი ფორვარდი ჯეფ ჰორსფილდი კიბოს გაუმკლავდა. „ვესტ ბრომვიჩისა" და „ბირმინგემის" თავდამსხმელი ზუსტად ერთი საათის გამოწერილი იყო საავადმყოფოდან, რომ ქუჩაში „ასტონ ვილას" მაისურში გამოწყობილმა გულშემატკივარმა გააჩერა და ჰკითხა, როგორ გრძნობდა თავს. ფეხბურთელმა უპასუხა, რომ ოპერაციის შემდეგ კარგად იყო.

– ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად გექნება, – უთხრა „ასტონ ვილას" გულშემატკივარმა, რომელმაც რამდენიმე მეტრი გაიარა, შემოტრიალდა და დასძინა – შენ წარმოდგენაც არ გაქვს, როგორ გამიჭირდა ამ სიტყვების თქმა.

„ბირმინგემი" და „ასტონ ვილა" ერთმანეთის გადაკიდებული მტრები არიან.

**ალისა კლეიბანოვა**

2011 წელს რუს ჩოგბურთელს ასევე მძიმე დიაგნოზი დაუსვეს – ჰოჯკინის ლიმფომა. თუმცა, მან შეძლო დაავადებასთან გამკლავება და კორტს დაუბრუნდა, წარმატებები კი წინ ელის!

**ჯონ ჰარტსონი**

კარიერის დასრულების შემდეგ, უელსელი თავდამსხმელი ჯონ ჰარტსონი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მას კიბო აღმოაჩნდა. მკურნალობის შემდეგ ჯონმა შეძლო დაავადების დამარცხება, ახლა ერთ-ერთ კლუბში მწვრთნელად მუშაობს და რეგულარულად ჩანს ტელევიზიით.

**მარიო ლემიე**

1993 წელს, ჰოკეის კანადელ მოთამაშე მარიო ლემეს ჰოჯკინის ლიმფომა აღმოაჩნდა, მის სიცოცხლესა და კარიერას საფრთხე დაემუქრა. მაგრამ სპორტსმენმა შეძლო დაავადებასთან გამკლავება და ყინულზე დაბრუნდა.

საკუ კოივუ

ასევე კიბოსთან გამკლავება მოუწია ფინელ ჰოკეისტ საკუ კოივუს. 2002 წელს ფინელმა შეძლო გამოჯანმრთელება და დაუბრუნდა ყინულს, ის დღემდე აგრძელებს თამაშს.

**ჰაიკო ჰერლიხი**

დორტმუნდის „ბორუსიას" ფეხბურთელი ჰაიკო ჰერლიხი ტვინის სიმსივნით დაავადდა. მან მოახერხა განკურნება და მოედანსაც დაუბრუნდა, მაგრამ მისი კარიერა ისე ველარ აეწყო...

**ხოსე ფრანსისკო მოლინა**

დაავადება დაამარცხა ესპანელმა მეკარემაც, მან რამდენიმე სეზონი გამოტოვა, გამოჯანმრთელდა და ისევ მოედანს დაუბრუნდა.

**ერიკ შანტი**

ამერიკელი მოცურავე კიბოთი იყო დაავადებული, რის გამოც პეკინის 2008 წლის ოლიმპიადა გამოტოვა, იმკურნალა და ლონდონში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა!

# თემურ ჩხეიძე: „აღარ მინდა თეატრში მუშაობა!“

ეკა ირემაშვილი



ქართველი რეჟისორი თემურ ჩხეიძე თბილისში ბრუნდება და სტუდიის გახსნას გეგმავს, სადაც მომავალ რეჟისორებს, დრამატურგებს, თეატრმცოდნეებს, მსახიობებს შეხვდება და მათ თეატრის შინაგან სამყაროს გააცნობს. სამომავლო გეგმებზე რეჟისორმა „რია ნოვოსტის“ თბილისის საერთაშორისო პრესცენტრში გამართული ვიდეოხიდისას თბილისი-პეტერბურგი-მოსკოვი ისაუბრა.

სანკტ-პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრის ყოფილმა სამხატვრო ხელმძღვანელმა თემურ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ საქართველოში დაბრუნება სურს, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რა მიზეზით აღარ აგრძელებს მუშაობას ახლად რეკონსტრუირებულ დიდ დრამატულ თეატრში. რეჟისორმა განაცხადა, რომ დროა, დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა ახალმა თაობამ ითავოს.

— მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩემს გადაწყვეტილებაში არავის ვადანაშაულებ, ყველაფერი ჩემი მიზეზით მოხდა. ჩემს წამოსვლაში ტრაგიკულს არაფერს ვხედავ. 26 წელზე მეტია, ამ თეატრში ვმუშაობ, აქედან 2007 წლიდან ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვიყავი. არ შემიძლია, არ ვისაუბრო კამენნოოსტროვსკის თეატრზეც, რომელიც ჩემ მიერ არის დაფუძნებული. ამ თეატრში სპექტაკლების დასადგმელად სხვადასხვა რეჟისორებს ვიწვევდი, რათა იგი ერთი კონკრეტული ესთეტიკის გამომხატველი არ ყოფილიყო, — აღნიშნა რეჟისორმა.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, რა შეგრძნებით ბრუნდება თემურ ჩხეიძე საქართველოში, მან ასეთი პასუხი გასცა:

— სამშობლოში იმ გრძნობით ვბრუნდები, რა გრძნობითაც იქიდან წამოვედი. საქართველოშია ყველაფერი, რაც ჩემთვის ძვირფასია. საქართველო არის ჩემი მშობლიური სახლი. ამ ქვეყანაში არიან ჩემი ახლობლები და მეგობრები, ოჯახის წევრები, შვილები, შვილიშვილები, საქართველოშია ჩემი საყვარელი ადამიანების საფლავები.

თემურ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ სამშობლოში აღარც ერთ თეატრში არ იმუშავებს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის სპექტაკლებს აღარ დადგამს.

— არც ერთ თეატრში არ ვიმუშავებ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღარ დავდგამ სპექტაკლებს. შესაძლოა, პატარა სტუდია გავხსნა, სადაც ვასწავლი რეჟისორებს, დრამატურგებს და თეატრმცოდნეებს, რათა შიგნიდან იცოდნენ თეატრის პრობლემები. მომავალ თეატრალებს თეატრი შიგნიდან უნდა დავანახვოთ, მისი შიდა სამზარეულო კარგად უნდა იცოდნენ, თეატრალური სამყაროს გარედან ყურება კარგს არაფერს მოგვიტანს. უფრო კონკრეტულად აღნიშნულ საკითხზე საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ვისაუბრებ, — განმარტა თემურ ჩხეიძემ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილმა თემურ ჩხეიძის საქართველოში დაბრუნების ფაქტი დაადასტურა. მისი თქმით, თემურ ჩხეიძე საქართველოში 20 მარტს დაბრუნდება, ის „სამეფო უბნის თეატრში“ სახელოსნოს გახსნის, სადაც ლექციებს წაიკითხავს. რეჟისორი პედაგოგიურ მოღვაწეობას თეატრალურ უნივერსიტეტშიც დაიწყებს და სპექტაკლებს მარჯანიშვილის თეატრში დადგამს.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, ითანამშრომლებს თუ არა რეჟისორი რობერტ სტურუასთან, მან შეკითხვას მოკლე და კონკრეტული პასუხი გასცა:

— ეს კითხვა ჟურნალისტებმა პირველ რიგში თავად რობერტ სტურუას უნდა დაუსვათ. მგონია, რომ თემურ ჩხეიძის მანერის მქონე რეჟისორთან რობერტ სტურუა, სავარაუდოდ, არ ითანამშრომლებს. სიმართლე რომ ვთქვა, ჩემი და რობერტ სტურუას თანამშრომლობაზე არ მიფიქრია, ჩვენი ერთად მუშაობა ვერ წარმომიდგენია, რადგან განსხვავებული ხელწერა მაქვს.

ტოვსტონოგოვის სახელობის სანკტ-პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის ყოფილმა სამხატვრო ხელმძღვანელმა თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე გატარებული ექვსწლიანი პერიოდიც შეაფასა.

— მუშაობა ნამდვილად არ იყო ცუდი, ამ თეატრიდან წასვლის კონკრეტულ მიზეზებზე არ ვისაუბრებ, მაგრამ ერთს ვიტყვი — დროა, თეატრის ხელმძღვანელობა ხელში ახალმა თაობამ აიღოს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ თუკი მიწვევებს მივიღებ, რუსეთში სპექტაკლებს აღარ დავდგამ. არ არის გამორიცხული, რუსეთში სპექტაკლების დასადგმელად ისევ ჩამოვიდე.

როგორც რეჟისორმა რუსულ გამოცემა „იზვესტიას“ განუცხადა, არანაირი იმპულსურობა მის ამ ქმედებას თან არ ახლდა.

— დიდი ხნის წინ გადავწყვიტე, როდესაც დიდი თეატრი დაბრუნდებოდა ჩვენს ისტორიულ შენობაში 2013 წელს, აუცილებლად წავიდოდი. ახლა 100%-იანი დარწმუნებული ვართ იმაში, რომ თეატრი თავის განახლებულ შენობაში შემოდგომაზე დაბრუნდება. ალბათ, ახლა დადგა დრო, როცა ტოვსტონოგოვის თეატრს სჭირდება ცვლილებები, რომელსაც პირადად მე ნამდვილად ვერ განვახორციელებ. ჩემი მთავარი და უცვლელი პრინციპი იყო — შემენარჩუნებინა ტოვსტონოგოვის მემკვიდრეობა. დარწმუნებული ვარ, რომ ათი წლის შემდეგ, რუსეთს კვლავ დასჭირდება კლასიკა. მე მიწოდებდნენ რეტროგრადს, ერთმა ახალგაზრდა ადამიანმა კი მითხრა, რომ ჩემი სპექტაკლები აღქმულია, როგორც ანაქრონიზმი, მისი მადლობელი ვარ გულწრფელობისთვის, — განაცხადა თემურ ჩხეიძემ.

რუსეთის კულტურის სამინისტროში ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ, თუ ვინ შეცვლის თემურ ჩხეიძეს. ახალი ხელმძღვანელი კი სანკტ-პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ თეატრში მხოლოდ დასთან მოლაპარაკებების შედეგად უნდა შეირჩეს.

მსახიობი გიორგი შტილი აცხადებს, რომ მხარს დაუჭერს ამ თანამდებობაზე ოლეგ ბასილაშვილის კანდიდატურას, რადგან ბასილაშვილი ტოვსტონოგოვის მოწაფეა და ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მსახიობად არის აღიარებული.

ოლეგ ბასილაშვილის კანდიდატურაზე თემურ ჩხეიძეს თავისი მოსაზრება აქვს:

— ის, რომ ჩემ შემდეგ ამ თანამდებობას ოლეგ ბასილაშვილი დაიკავებს, მხოლოდ ჭორია და ყველამ ყურმოკვრით ვიცით. ამ ამბავს ისევ და ისევ პრესა ავრცელებს. ამის განხილვა შეუძლებელია კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელიც მარტში გახდება ცნობილი. დამიჯერეთ, ხელმძღვანელის გარეშე თეატრი არ დარჩება და მაშინ წავალ, როცა ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი თავის ადგილს დაიკავებს. რაც შეეხება ოლეგ ბასილაშვილის კანდიდატურას, ამ საკითხს საკმაოდ მშვიდად ვუყურებ, — აღნიშნა თემურ ჩხეიძემ.

თემურ ჩხეიძის საქართველოში დაბრუნებას ყველა დიდი ინტერესით ელის. კინორეჟისორის რეზო ჩხეიძის თქმით, თემურ ჩხეიძეს თავისი ქვეყნისთვის ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია

— ძალიან ბედნიერი ვარ, რომ თემური საქართველოში ბრუნდება. ის დიდი მაესტროა, არაჩვეულებრივია როგორც ადამიანი, როგორც მსახიობი, როგორც რეჟისორი, ამიტომ მისი საქართველოში დაბრუნება ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ სიხარულია. ის გადაღებული მყავს ფილმში მთავარ როლში და ამ ფილმმა პრემიაც მოიპოვა. კინემატოგრაფიული მდგომარეობა საქართველოში ამჟამად საკმაოდ მძიმეა, მაგრამ თემურ ჩხეიძე აქ ყველას უყვარს და პატივს სცემს, ამიტომ მჯერა, რომ ის სამუშაოს აუცილებლად იპოვის და უსაქმოდ არ დარჩება. როცა მთავრობა დაიწყებს „ქართული ფილმის“ რეაბილიტაციას, თემური თავის ადგილს იქ იპოვის. მართალია, ის თეატრის რეჟისორია, მაგრამ ძალიან კარგად იცის კინოც.

თემურ ჩხეიძე აცხადებს, რომ სულაც არ აქვს შეგრძნება, თითქოს ის დაშორებული იყო თავის სამშობლოსა და ახლობლებს სანკტ-პეტერბურგში მუშაობის გამო:

— ყოველთვის ვიყავი ჩემს სამშობლოში, წელიწადში 3-4-ჯერ მაინც ჩავდიოდი თბილისში და ახლაც ჩავალ ჩემს საყვარელ ქალაქში ყველაზე თბილი გრძნობებით, — აღნიშნავს რეჟისორი.

სანკტ-პეტერბურგის მცირე დრამატული თეატრის ხელმძღვანელი ლევ დოდინი აცხადებს, რომ თემურ ჩხეიძის გარეშე სანკტ-პეტერბურგი უკეთესი არ იქნება.

— ძალიან საწყენია, რომ სანკტ-პეტერბურგის დიდი თეატრის პეიზაჟიდან ქრება თემურ ჩხეიძე. მისი რეტროგრადობის შესახებ საუბარი სრული სისულელეა. შეიძლება, მას ჰქონოდა როგორც შემოქმედებითი წარმატებები, ასევე შემოქმედებითი წარუმატებლობები, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — ის არის საოცრად მშვიდი და ბრძენი ადამიანი. დიდი თეატრის თეატრალური დასი ადამიანური, შეკრული და ინტელიგენტურია. მინახავს თემურ ჩხეიძის ქართული და რუსული სპექტაკლები და ის არის როგორც არაჩვეულებრივი რეჟისორი, ასევე არაჩვეულებრივი მსახიობი. მისი გადაწყვეტილება ჩემთვის ცნობილი იყო. ვცდილობდი, გადამეთქმევინებინა მისი თანამდებობიდან წასვლა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მის გარეშე დიდი თეატრი უკეთესი ნამდვილად არ იქნება. მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ და სრულიად გაგებით ვეკიდები. მისი მესმის, როცა ამბობს, რომ თეატრი შემოდგომაზე ბრუნდება ისტორიულ შენობაში და ამისთვის საჭიროა ახალი ძალები. დასი მართლაც უნდა დაიტვირთოს ახალი ენერგეტიკით, თუკი თემურ ჩხეიძე თვლის, რომ ეს ყველაფერი ვინმე სხვამ უნდა გააკეთოს, ეს გადაწყვეტილება პატივსაცემია, თუმცა მე ამ ყველაფერს წუხილით ვუყურებ. მესმის, რომ თეატრის დასს სათავეში უნდა ჩაუდგეს ისეთი ავტორიტეტული პიროვნება, როგორც თემურ ჩხეიძეა ან სრულიად ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც ახლებური ხედვით წარმართავს დიდ თეატრს. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა გადაწყვეტილებას ეყოლება მოწინააღმდეგე, წარმოიქმნება კამათი და აზრთა სხვადასხვაობა, ყველა გადაწყვეტილება ყველას მოსაწონი ვერ იქნება, ამიტომ კულტურის სამინისტროს კარგად დაფიქრება მართებს, სანამ დიდი თეატრის ახალ სამხატვრო ხელმძღვანელის კანდიდატურას დაასახელებს.

# საქორწილო კაბები ქველმოქმედებისთვის შეიქმნა

ეკა ირემაშვილი

6 მარტს რესტორანში „რივერსაიდ ბაბილო“ საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართება, რომლის ორგანიზატორია „ხელოვნების სახლი“. საღამოს პარტნიორია მოდის სახლი „ბისონი“, რომელმაც ექსკლუზიურად ამ ღონისძიებისთვის შექმნა ძველი ქართული ორნამენტებით შესრულებული, გათანამედროვებული თექის ქსოვილისგან დამზადებული საქორწილო კაბების კოლექცია.

— ქორეოგრაფიული ანსამბლის „ნაბადი“ მოცეკვავეები, ღონისძიებაზე მაყურებლის წინაშე საკუთარ ახალ შემოქმედებას სწორედ ამ კაბებით წარადგენენ. ამ ღონისძიების მხატვრულ მხარეზე ანსამბლ „ნაბადის“ ხელმძღვანელი ნინო ტურაბელიძე იზრუნებს და მის მიერვე იქნება დადგმული საბავშვო გაზაფხული — ზაფხულის კოლექციის პრეზენტაციის წარდგენაც, — განაცხადა პროექტის ორგანიზატორმა ანა ჩანგიანმა.

კოლექცია შექმნილია „ხელოვნების სახლის“ აღსაზრდელებისთვის დიზაინერების ანა ჩანგიანისა და ირინა ბარბაქაძის მიერ.

— ამ საღამოზე ასევე წარმოდგენილი იქნება დიზაინერ ირაკლი რუსაძისა და ანა ჩანგიანის მიერ შექმნილი საგაზაფხულო კოლექციის „შოუ-რუმი“ და ასევე თექის ახალი ტექნოლოგიით შესრულებული აქსესუარების გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიების დასკვნით ნაწილში გაიმართება წარმოდგენილი ნამუშევრების აუქციონი, რომლის მიზანია, გაყიდული პროდუქციიდან შემოსული თანხით, „ხელოვნების სახლში“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის სასწავლო კურსების დაფინანსება. საღამოზე ასევე წარმოდგენილი იქნება „ჯიდი სტუდიოს“ მიერ გადაღებული საზოგადოებისთვის ცნობილი და წარმატებული ქალბატონების ფოტოაფიშები, რომელშიც ჩართული არიან ნინო ნადირაძე, ნინო ტურაბელიძე, თეა შენგელია, ირმა ბერძენიშვილი, რუსიკო შაიშმელაშვილი, ქეთი ბაციკაძე, ლიკა ყაზბეგი, მზეხა მახარაძე, თინა თოფურია, თიკა ყანჩაველი, ნინო აბურჯანია და ლელა გუგბერიძე, — აღნიშნა საქველმოქმედო საღამოს ორგანიზატორმა ანა ჩანგიანმა.



## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ზღვისპირა ბალნეოლოგიური კურორტი ოდესის მახლობლად; 2. ომონიმებით გარითმული ლექსი; 3. რომელიმე ადგილის საერთო ხედი; 4. ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი“-ს პერსონაჟი; 5. დიდი სარეკლამო პლაკატი; 7. არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 11. ხალხური თქმულება; 13. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 15. პროფესიონალო ცხენოსანი; 16. ფრანგი მათემატიკოსი, მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი; 18. ერთწლიანი პარკოსანი ბალახოვანი მცენარე; 19. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა.

**თარაზულად**: 6. ქალაქი საფრანგეთში, სადაც ტარდებოდა მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 8. ბრილიანტის ერთ-ერთი გვერდი; 9. ტკბილი შავი ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 10. ხეობა საქართველოში; 12. აღმოსავლური ტკბილეული; 14. მაღალხარისხოვანი ბროლი; 17. დედამიწის ყველაზე ცხელი ბუნებრივი ზონა; 20. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში; 21. დაკოდილი მამალი ცხვარი; 22. შტატი აშშ-ში; 23. კინოცენტრი იტალიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქულბაქი; 2. ბაიადერა; 3. რივერა; 4. ქიმია; 5. ციხეგოჯი; 8. კაპილარი; 12. ბორი; 13. საგურამო; 14. ანდაზა; 16. სახიობა; 18. ჯეზვე; 20. რაგუ.

**თარაზულად:** 6. ფუკუსიმა; 7. გრინვიჩი; 8. კაიაკი; 9. პარმა; 10. ცერცვაძე; 11. მონბლანი; 15. მასტროიანი; 17. ქინქლა; 19. ზვარტნოცი; 21. დარბაზი; 22. კონსტებლი; 23. წუმწუმა.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. აკაპელა; 2. ფილტრი; 3. იოსელიანი; 4. ბუშელი; 5. თეთნულდი; 7. ბონო; 11. ტროტილი; 13. რავიოლი; 15. დუბაი; 16. თოიძე; 18. რუმბი; 19. სენტო.

**თარაზულად:** 6. კოვბოი; 8. სისტოლა; 9. ქაშვეთი; 10. ესკორტი; 12. დიქტი; 14. ჟიგოლო; 17. ნოვარტისი; 20. უნისონი; 21. შაგალი; 22. ბენტლი; 23. აერობუსი.

# მიხეილ თუმანიშვილის „ფიქრები თეატრსა და ცხოვრებაზე“ გამოცემულია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თა იდუმალ სამყაროში“, „თეატრალური ხელოვნების სპეციფიკა“, „სამსახიობო ხელოვნების პირველადი ელემენტები“ და სხვა მნიშვნელოვანი ნაშრომები, — განაცხადა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ჯაბა სიხარულიძემ.

წიგნი შეადგინეს და ტექსტზე იმუშავეს ელენე (ლიკა) თუმანიშვილმა და თამარ კობახიძემ, გამოცემის რედაქტორია დიმიტრი თუმანიშვილი, გამომცემელი — მაკა ვასაძე. პრეზენტაციის შემდეგ წიგნების შეძენა შესაძლებელი იქნება თეატრის ფოიეში და მისი ფასი 4 ლარი და 10 თეთრია.

კინომსახიობთა თეატრში გრძელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მასპინძლობა. თეატრში სულ ახლახანს დამკვიდრდა ტრადიცია — თეატრის სივრცე ეთმობათ ცნობილ მხატვრებსა და მათ ნამუშევრებს. კინომსახიობთა თეატრში ამ უქმეებზე გაიხსნა ელენა ვასილკოვსკაიას და იგორ ვასილკოვსკის ერთობლივი გამოფენა, რომელსაც „2 მხატვრის საუბარი“ ეწოდება. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია 60-მდე ნამუშევარი, შესრულებული ზეთში, გრაფიკში და ასევე შერეული ტექნიკით.

— ელენა ვასილკოვსკაია თბილისელია და ის მხატვრების ოჯახშია დაბადებული. სამხატვრო სკოლაში სწავლის შემდეგ, როგორც პერსპექტიული მხატვარი მოხვდა ნიკო ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელში, დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, სადაც პირველად პროფესიად აირჩია მონუმენტური ხელოვნების ფაკულტეტი, 2 წლის შემდეგ კი სწავლა განაგრძო გრაფიკის განხრით. მისი ნამუშევრების გამოფენები სხვადასხვა დროს მოეწყო თბილისში, უნგრეთში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, საფრანგეთში. დაჯილდოებულია დიდი ოქროს მედლით საფრანგეთში და მიღებული აქვს ჯილდოები მოსკოვში, მათ შორის პერსონალური 2002 წელს. რაც შეეხება მეორე მხატვარს, იგორ ვასილკოვსკიც თბილისელი მხატვარია. ისიც თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში გრაფიკას სწავლობდა. მისი სადიპლომო ნამუშევარი იყო „ფიროსმანი“. გამოფენებში მონაწილეობდა 1961 წლიდან. გახლდათ საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. „ორი მხატვრის საუბარი“ კინომსახიობთა თეატრში 20 მარტის ჩათვლით იქნება წარმოდგენილი, — განაცხადა კინომსახიობთა თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა მაკა პეტრენკომ.

ეკა ირემაშვილი

# „სომხებს ისტორიული ტყუილისთვის ბოდიშის მოხდა მოუწევთ“



ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ყოფილი მრჩევლის განცხადებით, თეთრმა სახლმა, 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გამოძიება ჩაატარა.

რეიგანის ყოფილი მრჩევლის, ბრიუს ფეინის განცხადებით, „სომეხთა გენოციდზე“ საუბარი უსაფუძვლოა, რადგან 1915 წელს სომხებზე ბევრად მეტი თურქი დაიღუპა.

„პრეზიდენტი რეიგანის დავალებით ჩვენ მაშინ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიება ჩავატარეთ. აღმოჩენილ იქნა მასალები, რომლებიც ევროპის ქვეყნების სამხედრო არქივსა და ოსმალეთის მაშინდელი იმპერიის არქივში ინახებოდა. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ იმ პერიოდში ბევრად მეტი თურქი დაიღუპა, ვიდრე სომეხი. გამოძიებამ დაადგინა, რომ სომხების პრეტენზიები გენოციდთან დაკავშირებით უსაფუძვლოა. ზღაპრები „სომხების გენოციდის“ შესახებ თავად სომეხი ისტორიკოსების წარმოსახვის ნაყოფია“, — განაცხადა მან.

მისი თქმით, სომეხმა ბანდფორმირებებმა, ანატოლიის ტერიტორიაზე 2 მილიონზე მეტი თურქი მოკლეს.

„არ შეიძლება ერთი გარემოების დავიწყება, რომ ყველა ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობა იმ პერიოდში თურქეთში იმ პრივილეგიებით სარგებლობდა, რითიც თავად თურქები. ბერძნები, სომხები, ქურთები, ჩერქეზები, ასირიელები, არაბები და სხვა უმცირესობები იმ პერიოდში თურეთში საკმაოდ მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ. ამ მხრივ სომხები ყველაზე დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. პირველი მსოფლიო ომის წლებში, სომეხმა თურქებმა უღალატეს სამშობლოს და ოსმალეთის იმპერიის მტრებს შეეკრნენ. სომხური ქვედანაყოფები კავკასიის ფრონტზე რუსულ არმიასთან გვერდიგვერდ იბრძოდნენ. ისინი ძარცვავდნენ და წვავდნენ თურქულ და ქურთულ სოფლებს და კლავდნენ მშვიდობიან მოსახლეებს. ამ მონაცემებით, დაახლოებით 2 მილიონი ადამინი დაიღუპა. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების მსვლელობისას თურქულმა მხარემ უფლება მოგვცა გვესარგებლა მათი არქივებით, სომხები კატეგორიულ უარს აცხადებდნენ საკუთარი არქივების ჩვენებისგან. ჩემი აზრით, ამ არქივების გახსნა თუ მოხერხდა სიმართლე აუცილებლად გამოაშკარავდება. მაშინ სომხებს მოუწევთ ბოდიში მოუხადონ მსოფლიოს და მათ შორის განსაკუთრები თურქებს ისტორიული ტყუილისთვის“, — დასძინა ფეინმა.

„სომხების გენოციდი“, 1915-1918 წლებში ოსმალეთის იმპერიის მმართველთა მიერ დაგეგმილი და განხორციელებული, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომეხი მოსახლეობის განადგურება. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ამ წლებში რამდენიმე ასეული ათასიდან ორ მილიონამდე სომეხი დაიღუპა.

# შესაძლოა, „ალ ქაიდას“ ერთ-ერთი ლიდერი მოკლულია

საფრანგეთის გაერთიანებული სარდლობის შტაბის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საჰარის „ალ ქაიდას“ ერთ-ერთი საველე მეთაური აბუ ზეიდი, შესაძლოა, მალიში მოკლეს.



რადიო ეუროპა 1-თან საუბრისას, გენერლმა ედუარად გუილოდმა აღნიშნა: „შესაძლებელია ასეა, თუმცა მხოლოდ შესაძლებელია. ამ დროისათვის ჩვენ ამაში ბოლომდე დარწმუნებული არ ვართ“. „როიტერის“ ცნობით, ჩადის არმიის განცხადებით, რომელიც მალიში საფრანგეთის ძალებთან ერთად იბრძვის, გასულ კვირას „ალ ქაიდას“ ერთ-ერთი ლიდერი მოხთარ ბელმოხთარი იქნა მოკლული.

აბუ ზეიდს „ალ ქაიდას“ ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ წევრად ახასიათებენ, რომელიც 2008 წლიდან მოყოლებული, ოცზე მეტი ადამიანის გატაცებაზეა პასუხისმგებელი. სავარაუდოდ, 2008 წელს მან მოკლა ბრიტანელი ტყვე ედვინ დიერი და 2010 წელს – საფრანგეთის მოქალაქე მიშელ გერმანო.

როგორც აღნიშნავენ, თუ მისი სიკვდილი დადასტურდა, ეს „ალ ქაიდასთვის“ სერიოზული დარტყმა იქნება.

ცნობისთვის, ალ-ქაიდა არ არის ერთიანი სტრუქტურის მქონე ორგანიზაცია. ის უფრო ნაკრებია საერთაშორისო მასშტაბით მოქმედი ისლამისტური ტერორისტული ჯგუფებისა, რომელთაც ნაწილობრივ საერთო მიზნები ამოძრავებენ. ეს ჯგუფები დეცენტრალიზირებული ქსელის სტრუქტრის მქონეები არიან და ერთმანეთთან უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ მეთაურთა პირადი კონტაქტებით არიან დაკავშირებულნი. ჯგუფებს არ გააჩნიათ იერარქიული მმართველობა. ბევრი სპეციალისტის აზრით ალ-კაიდას არ გააჩნია ერთი ლიდერი, არამედ ამ სახელის ქვეშ მოაზრებულ ყველა ორგანიზაციას თავისი ლიდერი ჰყავს, რომლებიც სხვა ლიდერებზე ნომინალურად დამოკიდებულები ან სულაც დამოუკიდებელნი არიან. ასე რომ ალ-ქაიდა შეიძლება ითქვას უფრო იდეაა, ვიდრე სტრუქტურირებული ორგანიზაცია.

# ჯონ ბაიდენი: „აშშ ირანთან ომისკენ არ ისწრაფვის, თუმცა, არც ერთ ვარიანტს არ გამორიცხავს“

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯონ ბაიდენი ირანს ბირთვული ტექნოლოგიების შემუშავების შეწყვეტისკენ მოუწოდებს.

ამის შესახებ ბაიდენმა ამერიკულ-ებრაული საზოგადოებრივი ურთიერთობების კომიტეტის ყოველწლიურ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ბაიდენის თქმით, აშშ ირანთან ომისკენ არ ისწრაფვის, თუმცა არ გამორიცხავს ქმედებების არცერთ ვარიანტს, მათ შორის სამხედროს, ბირთვული პრობლემის დასარეგულირებლად.



როგორც აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა აღნიშნა, მართალია, ირანის ბირთვული პროგრამის დარეგულირებისთვის შესაძლებლობების ფანჯარა „იხურება“, აშშ მაინც მიიჩნევს, რომ „დიპლომატიისთვის დრო ჯერ კიდევ არის“.

ადრე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ „ექვსეულის“ შეხვედრამ წარმატებით ჩაირა. ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით „ექვსეულის“ მორიგი შეხვედრა ალმა-ათაში 5-6 აპრილს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ირანმა თანამედროვე გაზის ცენტრიფუგის მასშტაბური მონტაჟი დაასრულა. ცენტრიფუგი ურანის გასამდიდრებლად გამოიყენება. ეს ინფორმაცია მსოფლიოს ატომური ენერგიის სააგენტოს შტაბ-ბინაში, დიპლომატებმა გაახმაურეს.

სააგენტოს ინსპექტორებმა, რომლებმაც ირანში რამდენიმე დღის წინ ობიექტი მოინახულეს, დააფიქსირეს, რომ იქ უკვე დაყენებულია საახლოებით ასამდე აი-არ-2მ-ის ცენტრიფუგი, რომელთა მეშვეობითაც ურანის გამდიდრება ორ-ხუთჯერ უფრო სწადი ტემპებით მოხდება.

# ბარაკ ობამამ კიმ ჩენ ინს საუბარზე უარი უთხრა



ბარაკ ობამა არ არის ვალდებული ჩრდილოეთ კორეის ლიდერს, კიმ ჩენ ინს დაურეკოს, რომელსაც კალათბურთელ დენის როდმანთან დაკავშირებით წინადადება აქვს, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტის პრესმდივანმა. ჯეი კარნიმ აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერს ურჩევნია საკუთარი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იზრუნოს, ვიდრე სხვა ქვეყნების ცნობილი სპორტსმენების მიწვევაზე ფიქრობდეს.

„ამას გარდა, სპორტის ვარსკვლავების და სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსების ნაცვლად, ჯობია თავისი ხალხის უმძიმეს მდგომარეობას მიხედონ, რომელიც შიმშილობს, ციხეებში ზის და რომლის უფლებებსაც არღვევენ“, — აღნიშნა კარნიმ.

კიმ ჩენ ინის განცხადება, ბარაკ ობამასთან საუბრის სურვილის შესახებ, უცნაური აღმოჩნდა იმ ფონზე, რომ ჩრდილო კორეელი ლიდერი თეთრი სახლის მიმართ თბილი დამოკიდებულებით არ გამოირჩევა. რამდენიმე დღის წინ, ქვეყნის ხელისუფლების უშუალო მითითებით, ინტერნეტში პროვოკაციული ვიდეორგოლიც კი გავრცელდა, სადაც მონაწილეები ბარაკ ობამა და ამერიკელი ჯარისკაცები იყვნენ.

გაეროს უშიშროების საბჭო კი ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში ახალი სანქციების შემოღების შესახებ დახურულ კონსულტაციებს გამართავს.

„ბი-ბი-სი“-ს ცნობით, გაეროში მომუშავე დიპლომატები აღნიშნავენ, რომ ჩინეთი და ამერიკა უკვე შეთანხმდნენ თუ როგორი იქნება ახალი სანქციები. ამ დროისათვის უცნობია მიღწეული შეთანხმების დეტალები. შეგახსენებთ, რომ გასულ თვეში ჩრდილოეთ კორეამ მესამე ბირთვული ცდა ჩაატარა, რაც გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ეწინააღმდეგება.

# ვლადიმერ პუტინი უკრაინას საბაჟო კავშირში ექაჩება

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკრაინის პრეზიდენტს ვიქტორ იანუკოვიჩს შეხვდა. რუსეთის პრეზიდენტმა უკრაინელ კოლეგასთან ქვეყნის საბაჟო კავშირში გაერთიანების საკითხი განიხილა.

პუტინმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ კიევს საბაჟო კავშირში გაერთიანება ყველაზე მეტად თავად უნდა სურდეს.

პუტინმა იანუკოვიჩი გააფრთხილა, რომ რაც უფრო გამყარდება კავშირი ბელორუსს, ყაზახეთსა და რუსეთს შორის, მით რთული იქნება ამ პროცესებში უკრაინის ჩართვა.

უნდ აღინიშნოს, რომ ევროკავშირში უკრაინის საბაჟო კავშირში გაერთიანებას უარყოფითად უყურებენ.

ევროკავშირის წარმომადგენელთა განცხადებით, თუ კიევი არჩევანს საბაჟო კავშირს სასარგებლოდ გააკეთებს მას ევროკავშირთან ურთიერთობები გაუჭირდება.

პუტინი იანუკოვიჩის შეხვედრისას განხილულ იქნა ბუნებრივი აირის თემაც.

ვიქტორ იანუკოვიჩმა აღნიშნა, რომ ამ კუთხით უკრაინელი ექსპერტები ჯერ კიდევ მუშაობენ. კიევი ცდილობს ბუნებრივი აირი ორმაგად იაფ ფასად მიიღოს. რუსული მედიის ინფორმაცით პუტინი იანუკოვიჩის შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტის ქალაქგარეთ რეზიდენციაში, არაოფიციალურ გარემოში შედგა.

რუსული გაზის ფასზე შეღავათების მოპოვებას უკრაინის ხელისუფლება დიდი ხანია ცდილობს. „გაზპრომი“ მეზობელ ქვეყანას გაზს 2009 წელს გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით აწვდის. ფასის გადაანგარიშება შესაბამისი ფორმულის მიხედვით ყოველკვარტალურად ხდება. დღეისთვის უკრაინა ათას კუბურ მეტრში 417 აშშ დოლარს იხდის. რაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის რუსული გაზის საფასურს აღემატება. მეზობელი ბელარუსი, რომელიც საბაჟო კავშირის წევრია, ბუნებრივ აირს რუსეთისგან



166 დოლარად იღებს.

2010 წელს ხელისუფლებაში ვიქტორ იანუკოვიჩის მოსვლის შემდეგ კიევმა რუსეთთან გაფორმებული კონტრაქტი კაბალურად გამოაცხადა. ყოფილი პრემიერი და მოქმედი მთავრობის პოლიტიკური კონკურენტი იულია ტიმოშენკო კი სწორედ ამ კონტრაქტის გაფორმებისთვის, თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით გაასამართლეს.

უკრაინის მოქმედ მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ რუსული აირის „სამართლიან ფასად“ 200-250 დოლარს მიიჩნევს.

2010 წლის აპრილში, მას შემდეგ, რაც უკრაინამ ნატო-ზე უარი ოფიციალურად თქვა და რუსულ სამხედრო ფლოტს ქვეყანაში ყოფნის ვადა 25 წლით გაუხანგრძლივა, კიევმა გაზის ფასზე მცირე შეღავათი მიიღო. მაგრამ, „სამართლიან ფასზე“ მოლაპარაკების ყველა შემდგომი მცდელობა წარუმატებელი გამოდგა. ვლადიმირ პუტინმა ამის სანაცვლოდ უკრაინას ჯერ გაზის სატრანსპორტო სისტემის „გაზპრომისთვის“ გადაცემა, შემდეგ კი ევროპულ ინტეგრაციაზე უარის თქმა და საბაჟო კავშირში გაწევრიანება მოსთხოვა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

სათავადაზნაურო გვარის „ლიპარტიალიპარტიანის“ პრეზიდენტი, ეკონომიკის პროფესორი ზურაბ ლიპარტია ღრმა მწუხარებით იუწყება „ენგურჰესმშენის“ დამსახურებელი ინჟინრის, წმინდა გიორგის ეკლესიის (სოფელი რიყე, ზუგდიდის რაიონი) მშენებლის, ღვიძლი ბიძაშვილის



**თამაზ (ტარიელ) ბონდოს ძე ლიპარტიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
უფალი ფარავდეს თამაზის ლამაზ სულს!

დარეჯან ჩანტლაძე, გურამ, აჩიკო, ლევან ამირანაშვილები, ნატო ჯავახიშვილი სამძიმარს უცხადებენ რძალს, როზა ფიტოზოვას, მამის

**პანაიოტ ფიტოზოვის**

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 6 მარტი**

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.50 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები“ 17.00 „გურმანია“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა“ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება“ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 „წართული დოკუმენტალისტიკა“ 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: იუვენტუსი — სელტიკი (პ/რ) ესვენებისას: „ვიქტორინა“ 01.30 მხ/ფ „სისხლიანი ალმასი“ (ლ.დიკაპრიო)

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი“ I სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი“ 13.00 სერ. „24 – 5“ 14.40 დოკ/ფ „გასაქირავებელი კუნძულები - კუს კუნძული“ 16.00 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქ/სერ „ცხელი ძაღლი“ 8 სერ. 23.00 მხ/ფ „ძარცვა ფრანგულად“ (კ.კეიტელი) 01.00 სერ. „ღვინის გზა“ 01.35 მხ/ფ „დამალული სიმართლე“ (ჰ.ფორდი) (ტიტ.) 03.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ.„ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ„ერთგულების ძალა“ 22.00 ნანუკას შოუ. 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.35 მხ/ფ „მეტიჩარა“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „წინაპართა ნაკვალევზე“ 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-თამარ ივერი 14.50, 22.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 დოკ/ფ „რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან“ 16.45 კვირიაკე 18.05 საქართველო არის ესე 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „დათა თუთაშხია“ VII ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ქართული ალბომი 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ „ჩამავალი მზე“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა„

მაესტრო 07.00, 05.35, 06.00, 07.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 12.30, 15.30, 17.00, 17.10, 18.45, 05.55, 06.35 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 01.40 თოქ—შოუ - „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 01.20 „ყოველდღიური აბები“ 22.20, 02.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


6 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6567 |
| ევრო | 2,1603 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,4922 |
| 100 რუსული რუბლი | 5,4073 |

## ამინდის პროგნოზი 6 მარტისთვის





## მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 1
უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 2
VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან გაიყიდება
პირველი და მეორე ტომები
1 მარტიდან
მესამე ტომი
5 მარტიდან
მეოთხე ტომი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 4
XVII-XX საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 3
XII-XVI საუკუნეები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55


## ასტროპროგნოზი 6 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რომელიც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** – აირჩიეთ საჩუქარი. **ლომი** – მშვენიერი დღეა, გახარებული ხართ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – ფული გაქვთ, მაგრამ ცოტა შავი დღისთვის შემოინახეთ. **მორიელი** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **მშვილდოსანი** – საგონებელში კი ხართ, მაგრამ გამოსავალს მალე იპოვით. **თხის რქა** – არ მოდუნდეთ, იმოქმედეთ. **მერწყული** – საღამოს ახლობლებს შეხვდებით. **თევზები** – ეს დღე საინტერესოდ წარიმართება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. უბანი ძველ თბილისში; 2. მზის საჩრდილობელი ქოლგა; 3. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 4. არწივის ძველი ქართული სახელწოდება; 5. კართაგენელი მხედართმთავარი; 8. ირანის საინფორმაციო სააგენტო; 12. ქართული სპორტული გაზეთი; 13. დონ-კიხოტის სატრფოს სახელი; 14. მონების ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 16. მობილური კავშირგაბმულობის სისტემა საქართველოში; 18. ყვითელი ფერის, მკვრივი, გამჭვირვალე ფისოვანი მინერალი; 20. ინდონეზიის კუნძული, პოპულარული საკურორტო ზონა.

**თარაზულად**: 6. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 7. ბალერინას ძირითადი კლასიკური პოზა; 8. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 9. ქალაქის თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 10. უბანი თბილისში; 11. ყველაზე მსუბუქი ქიმიური ელემენტი; 15. ბავშვების მომვლელი უცხოელი ქალი; 17. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 19. უკრაინელი კომპოზიტორი; 21. მღვდლის სამოსი; 22. გერმანული ყველი; 23. ოჩამჩირეს ძველბერძნული სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## მიხეილ თუმანიშვილის „ფიქრები თეატრსა და ცხოვრებაზე“ გამოცემულია

6 მარტს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გაიმართება პრეზენტაცია მიხეილ თუმანიშვილის ახალი წიგნისა „ფიქრები თეატრსა და ცხოვრებაზე“.

– საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ გიორგი მარგველაშვილის ინიციატივით უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი“ აგრძელებს დიდი ქართველი რეჟისორის, პედაგოგის, თეატრის თეორეტიკოსის მიხეილ თუმანიშვილის ნაშრომების გამოქვეყნებას. დაიბეჭდა წიგნი IV „ფიქრები თეატრსა და ცხოვრებაზე“. დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა რეჟისორის ნააზრევს თეატრზე, ზოგადად ხელოვნებაზე, ცხოვრების, მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთგავლენაზე. 350-გვერდიანი წიგნი მოიცავს თუმანიშვილის დღემდე უცნობ, გამოუქვეყნებელ წერილებს თეატრის სხვადასხვა მნიშვნელოვან თეორიულ და პუბლიცისტურ საკითხებზე. წიგნში შესულია მიხეილ თუმანიშვილის წერილები სანდრო ახმეტელზე, ჟან ლუი ბაროზე, მსახიობის ხელოვნებაზე, ქმედითი ანალიზის მეთოდზე, ტელევიზიის ხელოვნებაზე, ეროვნულობისა და თვითმყოფადობის საკითხებზე. კრებულში ასევე შევიდა თეორიული წერილების ციკლი: „ინფორმაციის თეორია და ხელოვნება“, „რეჟისურის შესავალი“, „მეცნიერება და ხელოვნება“, „წიაღსვლა სტილ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე



## ზიკოს ძეგლი დაუდგეს



რამდენიმე დღის წინ გამცნეთ, რომ იტალიელმა ფეხბურთელმა მარიო ბალოტელიმ საკუთარი სკულპტურა შეუკვეთა, რომელსაც სახლის წინ დადგამს. თუმცა, არიან ფეხბურთელები, რომლებსაც საკუთარი კლუბები აფასებენ. ერთი-ერთი ასეთი მათგანი ლეგენდარული ბრაზილიელი არტურ არტუნეს კოიმბრაა, ვისაც საფეხბურთო სამყარო ზიკოს სახელით იცნობს.

საფეხბურთო კლუბმა „ფლამენგომ“ გუნდის ლეგენდა ზიკო დააფასა და სტადიონთან მისი ძეგლი დადგა. ზიკო, რომელიც 3 მარტს 60 წლის გახდა, ძეგლის გახსნის ცერემონიას, რა თქმა უნდა, დაესწრო და შეკრებილი გულშემატკივრებისგან სიმღერა „უკეთესი, ვიდრე პელე“ არაერთხელ მოისმინა.

– „ფლამენგო“ მამაჩემმა ბავშვობაში შემაყვარა და მას შემდეგ ეს კლუბი ჩემთვის მუდამ მეორე სახლი იყო. ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდი და მხოლოდ კლუბსა და მის გულშემატკივრებზე ვფიქრობდი. ამ ძეგლის გამო ძალიან ამაყი და ბედნიერი ვარ. მადლობა, მადლობა, მადლობა... 60-ჯერ, – განაცხადა იუბილარმა.

ზიკომ „ფლამენგოში“ ჯამში 18 წელი გაატარა (1971-83 და 1985-89). შუალედში ბრაზილიელმა იტალიურ „უდინეზეში“ ითამაშა, კარიერა კი იაპონურ „კაშიმა ანთლერსში“ დაასრულა. ბრაზილიის ნაკრებში ზიკომ 72 შეხვედრაში 52 გოლი გაიტანა და სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა.

ზიკო კლუბის რამდენიმე რეკორდის მფლობელია: „ფლას“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი (508 გოლი) როგორც ყველა ტურნირზე, ასევე ბრაზილიის ჩემპიონატში (135). ის ოთხჯერ (1980, 1982, 1983, 1987) გახდა ბრაზილიის ჩემპიონი, მოიგო ლიბერტადორესის და საკონტინენტთაშორისო თასები (1981 წელს), შტატის (კარიოკა) ჩემპიონი კი, 7-ჯერ გახდა, 2004 წელს ფიფამ ფეხბურთის ისტორიაში 100 საუკეთესო ფეხბურთელში შეიყვანა, 2010 წელს კი „უორლდ სოკერმა“ ფეხბურთის ისტორიაში 10 საუკეთესო მოთამაშეს შორის დაასახელა. **მ. ყ.**

## მადლობა, აბუ!



საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის მორიგი მატჩისთვის ემზადება. 9 მარტს „ბორჯღალოსნები“ ესპანელებს უმასპინძლებენ. რაგბის კავშირის ცნობით, 9 მარტს ნაკრებიდან გააცილებენ გამოჩენილ ქართველ მორაგბეს, ღვაწლმოსილ 9 ნომერსა და კაპიტანს, ერთა თასის ერთადერთ 5-გზის მფლობელს და სამი მსოფლიო თასის მონაწილეს – ირაკლი აბუსერიძეს.

ირაკლი აბუსერიძე დაიბადა 1977 წლის 25 ნოემბერს, თბილისში. რაგბის თამაში „ყოჩებში“ დაიწყო. დაოსტატდა ასკ-სა და „ლოკომოტივში“.

კარიერის უმეტესი წილი გაატარა საფრანგეთში, სადაც თამაშობდა „ორიაკში“, „ორლეანსა“ და „ოსერში“.

„აბუმ“ ნაკრებში 13 სეზონი (2000-12) გაატარა. მონაწილეობდა ერთა თასის 12 გათამაშებაში და 5-ჯერ გახდა ჩემპიონი. მოიხვეჭა ყველაზე მეტი კეპი (85) და დადო შვიდი ლელო.

სამ მსოფლიო თასზე (2003 ავსტრალია, 2007 საფრანგეთი, 2011 ახალი ზელანდია) 11 მატჩი გამართა.

ირაკლი 2007 წლიდან ბორჯღალოსანთა კაპიტანი იყო. მან გუნდს 38-ჯერ უყოჩა, რაც აგრეთვე რეკორდია. „აბუ“ ნაკრებს 2 მსოფლიოზე (2007 და 2011) გაუძღვა.

ქართული რაგბის უამრავ გულშემატკივართან ერთად, საქართველოს რაგბის კავშირი მადლობას უხდის ირაკლი აბუსერიძეს ყველაფრისათვის, რაც მან ქართული რაგბისათვის და საქართველოსათვის გააკეთა, უსურვებს მას ჯანმრთელობასა და ბედნიერ, ხანგრძლივ სიცოცხლეს.

იმედია, რომ ქართული რაგბის ყველა ჭეშმარიტი გულშემატკივარი 9 მარტს მოვა „მიხეილ მესხზე“ „ბორჯღალოსანთა“ საგულშემატკივროდ და ღირსეულად გააცილებს ირაკლი აბუსერიძეს! **მ. ყ.**